

კ ვ ა ლ ი



სალიტირატურო და სამეცნიერო ნახატებიანი გაზეთი. გამომდის ყოველ კვირა დღეს.

№ 13.

მარტი 20, 1894 წ.

№ 13.

შინაარსი: ლუდვიგ კოშუტი გ.—ელი, ქართული დრამატული საზოგადოების სეკრეტარი გ. წერეთლისა.—პოეტს, ლექსი სილოვანისა.—ჩემი თავგადასავალი აკაცისა.—არჩიხალდ როზბერი. *., დღესი ცხელისა.—კრიტიკა (ბნელი) ხომალდისა.—როგორ აშუბდა გელითი? გ. წერეთლისა.—უკასო, მითხრობა დღევნე მტკრელისა.

ლუდვიგ კოშუტი

ლუდვიგ კოშუტი არეშე ერთა ცხოვრება, რომელიც ისტორიული გარემოების ძალით წინ წასულა ჩვენზე და ბევრად უფრო განათლებულად ითვლება ჩვენი ისე სამავალითოა, როგორც მოწაფისათვის მისი მასწავლებლის თავგადასავალი. განათლებულ ერთა ცხოვრების შესწავლა ჩვენი სკოლა, რომელმაც უნდა გეასწავლოს მისი წარსული, მისი ის-



ლუდვიგ კოშუტი

ტორიული მოძრაობა, ავაცილოს მისი შეცდომა და შეგვათვისოს ყოველი გამოცდილება, რომლის საშუალებითაც იგი მიღწეულა ბედნიერების კარამდის. ამ მხრით განხილვა პუნჯრიის ეროვნული წარმატებისა და კოშუტის მნიშვნელობისა დიდი საინტერესოა და ჭკუის მასწავლებელია. როდესაც ნაპოლონ პირველი დამარცხდა და განიდევნა წმინდა ელენეს კუნთულზე, ევროპის სახელმწიფოთა თავისუფ-

ლად ამოისუნთქეს; იმათ თავიდან მოიშორეს ქვეყნის შემარყვევლი და შეუდგენ ახალდაწყობილების დაარსებას. ამის გულისათვის მოხდა ივენის მთელი ევროპის სახელმწიფოთა წარმომადგენლების კრება (კონგრესი). იქ დადგინეს საზოგადო ხელშეკრულობა, რომელ სახელმწიფოს რა სახლებიც უნდა ჰქონოდა. ამ ხელშეკრულობას დაერქვა ევნის ტრაქტატი. რომელიც უფრო ძლიერი სახელმწიფო იყო, იმას მეტი ჰხდა საუფლისწულოდ, რომელიც სუსტი იყენ, იმათ ნაკლები. აი, ამისგანა ყველაზე უფრო მოგებულნი შეიქნა ავსტრიის სახელმწიფო. ამან ირჯუნა ყველაზე მეტი ნაწილი; მთელი სამხრეთ-დასავლეთის სლოვენის ტომები, ჰუნგრიის ქვეყნები, ჩრდილოეთის იტალია და ნაწილი გერმანიისა სულ ხელში ჩაიბლუჯა. მაგრამ უსამართლობას თავის მომაკვდივბელი სენი ყოველთვის თან დაჰყვება. აქაც ისე მოხდა. ავსტრიის ხელმწიფის წარმომადგენელმა მეტერნიხმა დაასჯელა თავის ხელმწიფეს ისეთი უცხო ტომები, რომელთაც სრულებით არ ეკანონიკობათ ავსტრიის ბატონობა: ესენი იყენ ლომბარდოვენციის იტალიელები, ჰუნგარები, გალიციელები ჩეხები და დასავლეთ-სამხრის სლავიანები. რაკი რომ ეს უცხო ტომის ხალხები ჩასვედეს ავსტრიის უფლებების ბოროტნი, შემდეგ მეტერნიხმა გამართა ჯაშუშთა პოლიცია და აავსო ეს ქვეყნები თავის ავერტებით. იმათა მოვალეობა იყო ყურამახილობა; ყოველ წლობით და თითქმის ყოველ თვეობით უნდა შეედგინათ ავსტრიის მთავრობის მოხელეებს, რა ჰხდებოდა ან ჩრდილოეთის იტალიაში, ან ჰუნგარიაში, ან რუსინებში და გალიციის პოლშელეებში, ან სლოვაკეში. ხშირად მოხდებოდა, რომ მამა შეიღს აბეჭდებდა, ცალი ქმარს და მეგობარი მიეპოვებოდა. ამევე დროს მეტერნიხი და მისი იმპერატორი ფერდინანდ პირველი ცდილობდენ სხვა-და-სხვა ბიანების გამოკემით თავდაზნაურობა დეშორებინათ დაბალ ხალხთან, რომ პირველს მეორეზე გველენა არ ჰქონოდა, ქათალიცის საღვდელთა პირები ჯამაკირის ძლივით თავისკენ მიემხროთ და ავერტებათ ვეგახდა, რომ იმათი საშუალებით უფრო ადვილად შეტყობთ: ენ არის მთავრობის მოწინააღმდეგე და ხალხის ერთგული კაცები; ხშირად ასეთს კაცებს საიდუმლოთ ეტყრდენ და ციხეში ჩასვამდენ. ტურნალ-გაზეთებს ქვეყნის კულმ მდგომარეობაზე არ შეეძლოთ ხმა ამოეღოთ, არც პოლიციელებისა და მთავრობის მოხელე კაცებზე, არც საღვდლოების უწყსო ყოფა-ქცეაზე. ამ სახით 1815 წლიდან დაწყებული 1830 წლამდის მეტერნიხს ისე ჰყავდა უცხო ქვეყნის ტომები ხელში ჩაჭერილი, რომ

ერთი ნათელი ზარი ხალხში აღარ ტრიალებდა. ავსტრიის ქვეშევრდომი ხალხები ქათალიცის საღვდლოებისა და მთავრობის მოხელეებისაგან დატყვევული და გაცარკული იყო. ამ დროს საფრანგეთში მოხდა არეულობა და მეფე კარლოს მეათე ტახტიდან გადაადგეს. ამ გარემოებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ლომბარდოვენციელებზე, ჰუნგარებზე, გალიციის პოლშელეებზე და სლოვაკეებზე; იმათ იფიქრეს: უსამართლობის თმენასაც სახლგარეულისაგან თავი ვაითავიუსულა, ჩვენ უცხო ტომები რაღა ვართ, რომ ავსტრიის ხალხი ასე გვიხარავსო. გამოჩნდა განსაკუთრებით ჰუნგარიაში საფრანგეთს ვახდელი ახალ-გაზღობა, რომელიც დეტრიალდა თავის ხალხს, დაუწყო წერა-კითხვის სწავლება და გონების განვითარება, გამართა თავის შკოლები და ამ შკოლებში ასწავილია ყმაწვილებს თავის სამშობლო ისტორიის, თვალ-წინ უყვენდა მათი ერის დიდებულ წარსულს და ახლანდელს მათ დამკირებას და დალაჩრებას. ამ დროებში გამოჩნდენ ერთგული მამულის შეიღები, რომელთაც დაამცირეს პოეტურს ჩანგზე სამშობლოს უბედური მდგომარეობა. ჰუნგარები თავისთავს უწოდებდენ ძველ მადიარებად. ამ დროს იყო, რომ ხალხში გავრცულდა შემდეგ ნაირი პატრიოტული ლექსება:

„მადიარ, იყავ უცხოელად
 ერთგული შერის ქვეყნისა;
 იქა ხარ დაბადებული
 და იქვე ჩახვალ საფლავსა“.

და ს.ე.

დაღვა ათას-რეას-მეორმოცე წელი, როცა ევროპაში ცოტადანათ მოჰხერა თავისუფლების სულომა. საფრანგეთმა უყენა მკავალით ეყება; ჯერ წინად იქ დაიბნა და ეროვნული გამგებო (კონსტიტუცია) უფრო თავისუფლი, ვიდრე უწინ იყო; ტურნალ-გაზეთებს ისე აღარ სდევნიდენ. მთავრობამ სცნო, რომ დეე, ეტრნალ-გაზეთობამ სწეროსო; იმათგან უფრო ნამდვილად შეეიტყობთ, ხალხს რა გულის ტყივილი აწუხებსო და მისს შესაფერად მივიღებთ საშუალებასო, რომ ხალხი აღარ განგვიდგესო.

აი, ამდროს გამოჩნდა ჰუნგარიაში ახალგაზრდა კომუტი, რომელმაც გამოსცა თავის სამშობლო ენაზე გაზეთი და ისე ხელოვნურად სწერდა, რომ ხალხს ესმოდა მისი გულისწილი. კომუტმა ისეთი გველენა მოიპოვა თავის ხალხში ექვსი წლის განმავლობაში, რომ ბოლოს ავსტრიის მთავრობამ მთავრითა ყურადღება მის მინაშენელობას და 1847 წელს რაკი თვით ჰუნგარიის ერმა აღიარა ის თავის წინამომადგენელად ევნის პარლამენტში, შემდეგ ჰუნგარიის

ქვეყნის გული რომ მოგვო, მთავრობამაც დანიშნა იგი ფინანსის მინისტრად.

დადგა 1848 ლ 1849 წლებს ზ მოხდა ევროპის სახელმწიფოებში არეულობა. ავსტრიის ქვეშევრდომი უცხო ტომები აიშალენ, კოშუტმა ისარგებლა ამით ზ განუდგა მთავრობას. ჰუნგარიის ხალხმა იგი განაღდა ერის მოთავედ (დღეტატორად), რომ ავსტრიის მთავრობას შეზღორობდა. საეკირველი მხნეობა გამოიჩინა კოშუტმა ამდროს. მის დროშას ქვეშ შეიარაღდა და სალაშქროთ გამოეწყო ყოველი მამა-კაცი; ვისაც კი იარაღის ხმარება შეეძლო, ყველა გამოვიდა ბრძოლის ველზე. აი, ამდროს გამოჩნდა კოშუტის დიდი ნიჭი. მისმა შორს გამსჭვრეტელობამ აღმოაჩინა ხალხში, საცა კი იყო, ნიჭიერი და მკოდნე კაცი. იგი სხვის ნიჭს შუიით არ უშუტებდა, არც სხვის კუიერ რჩევას, არც სხვის გამოცდილებას უარს არ ჰყოფდა. სხვების სახელი არ ეხარბებოდა; ის იმდროს არ ამბობდა: თუ მე არ შევერიე ყოველ საქმეში, სხვას ჩემზე წინ არ გაეუშეგებო, თუ მე არ ვიქენი მბრძანებელი და ბატონი, ქვა-ქვაზედაც ნუ დარჩენილათ. არა, ის არავის ელობებოდა წინ, ყველას ხელს უმათავდა, არავის შუი არ უღვიოდა გულში, ყველას შემტკობობი და გამამხნეებელი ის იყო მამულის გულისთვის ბრძოლაში. აი, ამ თვისების წყალობით ქვეყნის ნიჭიერი შვილები მრავალი წააყენა წინ, დიდსა და პატარას შთაბერა ვაჟკაცობის სული. მისმა ააღვაწდა მხედართ-მთავრებმა დაამარცხეს რამდენჯერმე ავსტრიის ჯარება და, ის იყო ავსტრიის სახელმწიფო უნდა დანგრეულიყო, რომ, შინაურ სხვა-და-სხვა ტყამების ერთმანეთთან ბრძოლას და განტეილებას არ დეფუარა ავსტრიის სახელმწიფო დარღვევისაკან.

1848 წელს ჰუნგარიის ერი მხოლოდ ამ შინაურმა მეზობელ ტომთა განხეთქილებამ დაამარცხა. მათმა მტრობამ ამდროს წამოჰყო თავი, კოშუტმა იხმარა ყოველი ღონისძიება, რომ მტერ-მეზობლის გული მოგვო, მაგრამ გვიან იყო.

ჰუნგარიის ქვეყანაში ძელითვანე სამი სხვა-დასხვა ტომი ცხოვრებდა: ჰუნგარები, სლავიანები და რუმინები. ისინი არიან შესაბუნებულნი ერთმანეთში; ჰუნგარები შეადგენდენ თავად-აზნაურობას და დიბალ ხალხს. დაბალი წოდებისანი იყენ აგრეთვე სლოვენის გვარნი და რუმინები. ესენი აძლევდენ ადგილის იჯარას ჰუნგარიის თავად-აზნაურობას, მაგრამ ვაჟრობა და აღზე-მციელობა მაინც სლოვენებისა და რუმინების ხელში იყო. ჰუნგარები კი მიწისა და ადგილის პატრონი იყენ. სლოვაკები და რუმინები ვაჟრობით ნელ-ნელა მდიდრდებოდენ. ეს სწყენდათ ჰუნგარიის თავად-აზნაურებს და ცდილო-

ბდენ მეზობელი სლოვაკები და რუმინები დაეხარათ. ამგვარად ჩამოეარდა ამ ერთს ქვეყანაში დასახლებულ მეზობელ ტომებს შორის განხეთქილება და დაუძინებელი მტრობა.

კოშუტი ხედავდა, რომ ამას კარგი ბოლო არ მოჰყებოდა თვით ჰუნგარიის ხალხისთვის და თავის გახეთში ავრცელებდა აზრს, რომ ჰუნგარები და სლოვაკები მეგობრულად ყოფილიყვენ ერთმანეთში, პოლიტიკური კავშირი შეეკრათ და ერთად შეზღორობდენ მტერს—ავსტრიის სახელმწიფოს; მაგრამ კოშუტის აზრმა ეერ ჩააქრო მათში მეზობელური მტრობა. აი, დადგა ბრძოლის დრო და როცა ჰუნგარიელებმა განმარჯვეს, სლოვენები მაშინ მიემხრენ ავსტრიელებს და მათი მხედართ-მთავარი ელაჩიჩი სლოვენების ჯარით მტრად შევიდა ჰუნგარიის სატახტო ქალაქში პეშტში. ხელმწიფე იმპერატორმა ნიკოლოზმაც ხელი მიავწინა სლოვენებს, ჰუნგარების მტრობის გულისთვის; იგი დეცხმარა ავსტრიას და დასცა ჰუნგარიის ერი. ამით ხელმწიფე ნიკოლოზმა ავსტრიის სახელმწიფოც მოიმალიერა და მისი ქვეშევრდომი სლოვენების გულიც მოიგო. აი, ამდროდან გაიდა ძირა პანსლავისტობამ ეეროპაში; ამდროდან სამხრეთის სლოვენთა ტომებს აქვს განზრახვა შეერთდენ ერთ ხალხთა რუსეთის იმპერატორის წინამძღოლობით. ამ აზრის მომწიფება დღესაც არ ასვენებს ავსტრიას.

ჰუნგარები დამარცხდენ 1849 წელს უფრო იმის გამო, რომ შინაურ მეზობელ ხალხთან სლოვაკებთან და რუმინებთან ეერ მოახერხეს მოყრობა და პოლიტიკური კავშირი, რაღვან მტრად იყენ გადაციდებულნი. კოშუტი ამას შემდეგ გადაეარდა უცხო ქვეყანას და სამშობლოში აღარ დაბრუნებულა. უკანასკნელს წელს ის ცხოვრება იტალიაში და მოკვდა ღრმა მოხუცებული. მას ჩაყვა სასულაეში ერთი მწუხარება: რომ ჰუნგარიის ერის დაცემა 1849 წელს მის მეზობელ ხალხებთან მტრობის ბრალი იყო. დღეს ჰუნგარია თითქმის გათავისუფლებულია, 1867 წლიდან დაწყებული, თუმცა კოშუტს ეს ნახევარი გათავისუფლება არ აქმაყოფილებდა და უარი თქვა, თავის სამშობლოში დაბრუნებაზე. აღბად ის მუდამ ესაჯუდებოდა თავის თანამემამულეებს ამნარი ანდაზით: „რაც მოგივა დაეითო, ყველა შენი თავითო.“

ქართული დრამატული სამოგადროების სემ-ბედი



ს რამდენჯერმე დაბეჭდილა გაზეთი „ივერია-ში“ სამწუხარო განცხადება, რომლითაც ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობა გვაცნობებს თავის გაკვირვებულ მდგომარეობას.

საკვირველია, რომ ჩვენს დღიურს გაზეთს, რომელიც გულმხურვალედ უნდა გაყარობოდეს ყოველ ქართულ საქველმოქმედო საქმეს, აქამდის ამ გაკვირვებაზე კონტრტ არ დაუძრავს. ნუ თუ მართლა ჩვენი ქართული თეატრის ბედ-იღბალი იმდენად არ არის ყურადღების ღირსი, რომ მისი სამწუხარო მდგომარეობა ჩვენ არ უნდა გვალღვებდეს? ჩვენის აზრით ეს ერთადერთი დაწესებულებაა, რომელსაც იქნება ყველა ჩვენ საქველმოქმედო დაწესებულებაზე უფრო დიდი ღვაწლი მიუძღოდეს ქართული ერის გამოღვიძლებაში, ხალხის თვით-ცნობიერების მოყვანაში. ვინ არ იცის, რომ ეს ერთადერთი ხალხის საწერითელი სკოლაა, და ეს უფრო სკოლა ისეთი შევიწროებულს მდგომარეობაშია ჩვენივე საზოგადოების გულ-გრილობის გამო, რომ დღეს თუ ხვალ შეიძლება კიდევ დაიხუროს. რვა წელზე მეტია, რაც ქართული დრამატული საზოგადოება შედგა, წესდება დიმიტკიცა, რამდენმამე თავგანწირულმა პირმა არ დაიშურა თავისი ცოდნა, გამოცდილება, სწავლა და შრომა, რომ ჩვენი თეატრის საქმე უფხვრე დამდაპირაყო. დადგა კიდევ, მოიტანა თავისი შესაფერი ნაყოფი და ახლა?... განა ახლა კიდევ უფრო თანაგრძნობით არ უნდა მოვეყრათ, რომ ეს ნორჩი ნაყოფი ჩვენი ეროვნების თვით-ცნობიერების ძირიანად არ გახმეს? ქართული თეატრი და ქართული სცენა იმდენად წინ წავიდა, რომ ჩვენზე ბევრად უფრო უკეთეს მდგომარეობაში მყოფი ერთი შენატრებს ქართულ რეპერტუარს, ქართულ მსახიობებს დასს. მერე რა უჭირსო ამ ქართულ დრამატულ საზოგადოებასო, იკითხავს მკითხველი? ის უჭირს, რომ თუ არ მივეშველეთ, ჩვენი უღარდლობისაგამო დღეს თუ ხვალ ისიც დაგვეხურება. დრამატულ საზოგადოებას ბევრი წევრები ჰყავს; ისინი წლიურად ვალდებულნი არიან შეიტანონ საწევრო ფული, მაგრამ რამდენია მათგანი, რომ ეს რამდენიმე წელიწადია, გრაში არ შემოუტანიათ. ყოველი საქველმოქმედო საქმე იმავე ერის გონების საღისინებლად და საჩრდილოებლად ამოსული ხეა, რომელიც ადვილად ხმება, თუ მას წვრილმანი ფესვები ნელ-ნელა მოსწყდა, მოექრა. ამ შემთხვევაში თითოეული წევრი იგივე წვრილმანი ფესვია, რომელიც ასაზრდოებს ქართულ თეატრის ხეს, თითოეული წევრის გულ-გრილობა და თავის

დროზე საწევრო ფულის შეუტანლობა ხომ იგივე ფესვის გახმობაა. და მართლაც ჩვენი ქართული დრამატული სცენა ახლოა გახმობაზე; მისი წევრები აღარ ასაზრდოებენ მას. აი, ესეც ერთი ჩვენი ქართველური დაუღვერობაა. საკვირველი უბედურება სპირის ყოველს ჩვენს საზოგადო საქმეს. თითქოს ყმაწილესაგეთ ვიქცევით? მიზნაველობა დიდა ჩვენში; გინდა განათლებული საზოგადოების ერთი ფერი გვედვას და ის კივერ შეგვეგინა ამ სურვილს რა ვალდებულება მოსდევს. როგორც სხვა განათლებულ ქვეყნებში სწევით, ჩვენც ეს ვაფუძუნებთ სხვა-და-სხვა საზოგადოებას; მაგრამ სამწუხაროდ დავეციყუნია, რომ ასეთ საქველმოქმედო საქმის დაფუძუნებას უნდა შეუკითხავა, შემწეობა, უნდა მოვლდა და ყურის გდება, როგორც ყოველს ჩინებულს ბაღს, რომელიც მხოლოდ-ღა მაშინ ხარობს, მაშინ მოაქვს ჩინებული ნაყოფი, როცა ნიადაგ უელი, რწყავს, მარჯავს, ანატეხებს, მყინს და ვადაყინს. საქმე დაწყება კი არ არის საქმელო და მასთან სასახელო, საქმე მისი დამთავრება, მისი საზარდობაა. დაწყებით უნდა რიცი დაიწყებს დიდ საქმეს, მაგრამ ბოლომდის მხოლოდ ჭკუიანი, მხნე შრომის ამტანი, თავ-განწირული კაცი გაიტანს. ჩვენ კი საქველ-მოქმედო საქმეს დღეს რომ აღტაცებით ეკიდებთ ხელს, ხვალ ყმაწილესაგეთ გული გვიგრიდებს და მისი ჯავრი აღარ ვიკლავს, ბუწსაგეთ მოვიხანისებთ. აი, ასეთი საზოგადოებისა და ერის ცხოვრება მუდამ ფუტკია და წარმატალი, ცხოვრება თამაშობა ნურავის ჰგონია. ის არის საშინელი ბრძოლა თვით-არსებობის გულისთვის და რომელს ერსაც ამ ბრძოლაში სულგრძობა, მოთმინება და გამძლეობა არა აქვს, ის ვერც დაიქალებს ასეთი ბრძოლის ატანას; ის მიუცილებლად დღეს თუ ხვალ უნდა მოისპოს. ამასაც ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენს ბედში მყოფს ერს უფლება არა აქვს იფიქროს: დღეს რომ ასეთი საქველ-მოქმედო საქმე ჩამეფუშოსო და მომეშალოსო, ხვალ-მეორეს დაეფუძნებ და ავაყვებებო. ტუყილია ეს იმედი. ცხოვრების დამაპკოლებელი გარემოება ამის თანა ერს არ უტდის. ის ნიადაგ ხელში შეჩერება მას. რაც ხელიდან გაეარდება, ის საუკუნოდ დაკარგულია, იმას მივორედ ვეღარ ჩაივლებს ხელში. აი, ეს უნდა გვაფრთხილებდეს დღეს; რააც გვაქვს, იმას კარგად უნდა მოუაროთ, ხელიდან არ გაუშვათ, გულ-გრილად არ მოვეკიდეთ მას.

ჩვენს დრამატულ საზოგადოებას ჩვენი ბანკიდან ასი თუმანი ჰქონდა წლიურად მასაზრდოებელ წყაროდ დანიშნული და ესეც მოუუსკეთ. რაღა ნუ გეში დარჩა ჩვენს სცენას, ჩვენს დრამატულს საზოგადოებას? სიკვდილის მეტი არაფერი. აი, ასეთია

ჩენი გულ-შემატვირობა, ჩენი ქველმოქმედობა, მაგრამ რა გვიტყობს? ჩენი მოღვაწენი დიდს ფაქცი-ფუტში არიან; ამ ერთ წუთას ათსა და ოცს სულ ახალ-ახალ ქვეყნის გამაკეთებელს პროექტებს გვიცხობენ. მათ შორის უფრო ჭკუიანი კი გულში იცინიან და თავის დამსახურებისთვის შესაფერ ჯილდოს მოელოან, რაკი ისინი საღვინო ტაბლას იმზადებენ, აბა, რას დავებენ, თუ ჩენს ქართულს დრამატულ სცენას ამდროს მოელის სიკვდილი უსაშუალოობის გამო. ასეთია დღეს ჩვენებური საქველ-მოქმედო საქმის ბოლო.

ბ. წერეთელი

პოეტი

„Ty samъ svojъ Vyshnijъ sudia!..“

პუშკინი



ენს უფრო ვერცინ გაზომავს
შენს მოთქმასა და მღერასა;
შენსაეთი ვერცინ მიხედება

შენის გულისა ძეგრასა.

* *

ვინც შენ გაძაგებს, ის ხშირად
ბრიყვი და უმეცარი;

კიურ გრძნობისთვის მის გული
დაჩლუნგულია, მკედარი.

* *

ან ჭკუა უჭირს—და შური
უბრძალებს იმას გონებას:—

ზიზლით შეყურებს შენს ნიქსა,
შენს წარმატებას, ქონებას.

* *

თუ ცამ მოგზავუნა—დე, ბრიყვმა
აძაგოს შენი კალამი:
ფილიდისა მტრობა გერჩიოს,
საზიზლარია სალამი!

* *

ნურც ტაშს აუყვები, ბრბოს ტაშა:
არ ესმის შეუგუნებელსა—
და აქებს ხშირად შვილწივსა,
კიციხეს მის გამნათლებელსა.

* *

გულ-დინჯათ ასწონ-გაზომე
თეთი შენი აგლა-დიდება:
აეისთვის ტაში ნუ გინდა,
ნუ გინდა ყალბი დიდება.

* *

და ბრამბ კი—სადაც კარგი ხარ,
შენი ძაგება სთქვას იქ მას!
ქრისტესაეთა შენცა სთქვი:
„არა იციან, რას იქმან.“

* *

თავისთი იყავ კმაყოფილ—
თავისა თვისის მცნობელი:
შენს სახელს ჩირქსა ვერ მოსცებს
ჭეშმარიტების მცნობელი!

* *

შენს უფრო ვერცინ გაზომავს
შენს მოთქმასა და მღერასა,
შენსაეთი ვერცინ მიხედება
შენის გულისა ძეგრასა.

ს.ლოვან

ჩემი თავგადასავალი



ასახლემში აღრც ბერჯელ ვყოფილვარ, მაგრამ რომ გამოიყენანეს, მაინც ბერი რამ მეთუცხოვა. ჩენებს თითქმის ყველას ეცნობდი და სტუმრებმა კი სწორეთ გამაცუცეს. ხან ერთან მიყავდით, ხან მეორესთან. მეაღერებოდენ და მკაცნიდენ. ისე მებევეოდენ გარს, როგორც ჩხიკვები ბუს. „ეი სოფლის ბიჭო!“—დაიძახა მამაჩემმა. შენ ახლა ბატონობა უნდა ისწავლო და ბატონიშვილობას უნდა მიჩვიო, რაც ვითხრან დაიჯერე, თორემ თუ ურჩობა დაიწყე, წავიყვან და დავამწყვდევ ისე, როგორც ის პატარა ბიჭი მყავს დამწყვედულიო“.

მომიკიდა ხელი, მიმიყვანა და გამაჩერა სარკის წინ, სადაც თავიდან ფეხებამდე ნათლად გამოეჩნდი და სიცილი დავიწყე.

- ხომ ხედავ?—მკითხა მამაჩემმა.
- რატომ არა, ბრმა ხომ არა ვარ?
- იცნობ?—მკითხებმა მამა.
- რა დიდი ცნობა უნდა?
- ხომ არ გინდა, რომ დავკილო?
- ვისა?
- ამ პატარა ბიჭსა.
- ბიჭი კი არა, ის არ გინდა კიდე! ჩემი ლან-
- და.
- რა იცი, რომ ლანდია?

— რატომ არ ვიცი. განა ცოტა მინახავს წყალში? — ამ სიტყვაზე სუყველამ სიცილი ასტეხეს და გაიციურეს. „შენი რისხვა ნუ მომეცემა — წამოიძახა პოლურამა — შენი რისხვა ნუ მომეცემა, რო იტყვიან, კვიცი გვარზე წავაო, სწორეთ მართალი ყოფილა. სოფლის ბავში რომ ყოფილიყო, რას მიხებდებოდა. მე რომ პირველად სარკეში ჩაიხებდე, ქალაჩ მერია, მაგრამ მაინც კინაღამ გავგიგდი, ისე გამიცირაღ“ — ეტყობოდა მოურავს კიდევ ბევრი რამ უნდოდა ეთქვა, მაგრამ დღეაჩემმა გააწყვეტინა სიტყვა, დამიძახა და მკითხა: წყალში? როგორ თუ წყალში?

— ისე. როცა სათევზაოთ დადიოდა ხოლმე ან ყვიროდა, ან იზვარაში, წმინდა წყალში ყოველთვის გამოეჩნდებოდა ხოლმე.

— მარტო შენ?

— მარტო მე რათა? წყალში ყოველივერი გამოჩნდება. ხარი, ძროხა, ცხენი. დღე ყოველივერი გამოჩნდება, ღამე კი მარტო ვარსკვლავები და თვარე გამოჩნდება ხოლმე.

— თვეზს როგორღა იკვრიდი?

— პატარაებს ჩქიფით და დიდებს კი ხელაობით. შევეყოფდი ხოლმე ხელს ჯიღეში, ქვებში და თუ შეეხებდებოდი, თვეზს დაიკვრიდი და გამოიყვიანდი.

— გველი რო შეგხებდებოდა?

— რა უყოთ მერე? განა არ შეგხებდებოდა? შევეყოფდი ჯიღეში ხელს, აქ ბევრი ღორჯო გგონია ერთად თავ-მოყრილი, გამოგაქ და თურქი გველია დაბეულა. გაიშლება და შემოგვხებუვა კლავზე.

— მერე... მერე არ გეშინოდა? — შემომკვილა დიდამ.

— არა. დავსხვერტებდი ხოლმე რიყზე.

— რომ ეკბინა?

— ნწუ, ამა! წყალში როდი იკბინება, შხამი როდი აქ თან. წყალში ჩასვლას რომ დააპირებს, გველი წყარე შხამს იქავე ქაზე წამოაწიხებს. წყლიდან რა ამოვა, მერე ისევე ალოკას და გაუღდება გზას, მაშინ თუ ვისმე შეხდა და უტკბინა ძველია. მზის ამოსვლისას თუ უტკბინა, მზის ჩასვლამდის ვეღარ გაატანს. და მზის ჩასვლისას თუ უტკბინა, მზის ამოსვლას ვეღარ მოესწრება. კაცი მოკვდება.

— რო ვეღარ მიაგნოს თავისი შხამი?

— თუ ეინმე დაუმალა, ან შხამიანი ქვა გადაუვლო, მაშინ წყლის პირზე დაიწყებს ძებნას გველი, ირბენს, ირბენს და რო ვეღარ ნახავს, ჯავრით დაუშენს თავს ქვაზე და მოკვდება.

— შენ რა იცი ევა?

— შარშან კვირალას პირზე ენახეთ მაკრე კვდარი გველი. არც თავი ჰქონდა გაქეჭვილი და არც წელი მოწყვეტილი, ისე იყო კვდარი და მეფე-

ვებებმა თქვეს, შხამი დაეკარგებოდა და თითონ მოიკვდა თავსაო.

— რაზე იტირებს საქმეს, რატომ თან არ ჩაიტანს იმ შხამს წყალში?

— დაწყველილია. მერე და შხამი რო ჩაიტანოს წყალში, წყალს ხომ მთელი სოფელი სვამს და დიდი და პატარა სულ არ მოაწამლებოდაც ერთიანად? — ჩემს სიტყვა-პასუხზე დედას ეცინებოდა ღ თაზე მისეამდა ხელს და მეც რაღა კი სოფლის ამბავი მომავალეს მზათ ვიყავი, რომ სალამომდის მეტრტინა, მაგრამ სხვებმა გაგაწყვეტინეს საუბარია. დასწყველოს წმინდა გიორგიმო — დაიძახეს აქეთ-იქით — ტფუ, ტფუ! ვილაღ სწორეთ ჩვენ ძეირში არისო და გადავიდენ სხვა საუბარზე. ამასოჯაში სადილობაც მოატანა და გადასძახეს ბიჭებს აივანზე, რომ სადილი მოეჭანათ.

უცად იყო-ი-ც-და-ათი მეტი ფარეში შემოიკრენ და გაჩრდენ შუა ოთახში. ბატონები მივიდენ ჩამოაჭკრიდენ ტახტზე. პირდაპირ მეორე ტახტზე აზნაურიშვილები დასხდენ და თავში ღვედლი დაუჯდათ. კიბზე ვილაღამ დაახველა, თქვეს, მოურავი-აო და მართლაც ის იყო, მოუძლოდა წინ სადილს, შემოვიდა და მიეყუდა სვეტს. იძას შემოყვენ სხევიც. ხელისანებს პური მოჰქონდათ ხელკალათებით. მზარეულებს კი ქოთანებდა და ქვაბით სხვა-და-სხვა საქმელები. მიღებს კუთხეში და გაჩრდენ, აბა, ჰე! ხელი დაგეზანაიეთო, ბჰანეს ბატონებმა. ერთმა ფარეშია ტახტს დაავლო ხელი, მეორემ თურგს და მესამემ ხელ-საწმენდს. ჩამოურავს როგით და ყველას ხელი დააბანის. მერე ორმა ბიჭმა შემოიტანა გრძელი და ვიწრო ხის სუფრა ოთხ-ფეხიანი, რომელსაც ერთი ფეხი გამოგარდნილი ჰქონდა. „შეუყენეთ ფეხიო“ — უბძანა ბატონმა. ბიჭები სულ ერთიანად გაცივდენ გარეთ და თვალის დახამხამებამდე ერთმა შემოარბენინა ქვა, სხევიც ისე უკან მოსდევდენ გადაბარუნეს სუფრა და შეიქნა ერთი კაკა, კოკი. გაუმარეს ფეხი, მაგრამ ცოტა მეტი მოუვიდათ, ფეხი დამოკვდა და სუფრამ ყაყალი დაიწყო... „შეუყენეთ ნაფოტი“, ბჰანა ბატონმა. გაკვირდენ ბიჭები ნაფოტის მოსატანად კიდევ ისევე ერთმა მოიტანა ნაფოტი და სხევიც უკან მოსდევდენ, შეუყენეს სუფრას და გამაგრეს. როგორც იქნა ამ ჰირს გადაჩენ, მაგრამ მწუხარება ამით მაინც არ გათავებულადამშვეულს ძალლებს რომ სადილის სუნი ეცათ, დრო იხელეს, შემოაკვირდენ ოთახში, შეძქერენ სუფრას ქვეშ ღ წამოაწვენ. — არიქა დაგვისენით ამ ძალლებსაგანაო, დაიყვირა ბატონმა. — ბიჭებმა დაავლეს ჯოხებს ხელი და დაუწყეს სუფრას ქვეშ ძალლებს ცემა. ძალლები იღრინებოდენ, იკბინებოდენ, დიდხანს არ უნდადათ, რომ გამოსულიყვენ სუფრას ქვეშიდან, მაგრამ ბო-

ლოს ძალია რა დაატანეს, იკადრეს და გაცივდნენ გარეთ. ერთი-ორი ძალი აზნაურების სუფრას ქვე-
შაც შემძვრალიყვენ. ბიჭებმა რომ იმით ჯობით ცუ-
მა დაუწყეს, ერთმა აზნაურმა იყვირა: „ვიმე წვივი,
წვივი მომტყნე, შე ოჯახ-დაქცეულიყო. ბატონი ჩე-
ბის რისხვა ნუ მომცემს, ჩემი ჯირი ჭირს და განვტ-
მიყო ეს საქმეო, — მაგრამ ბიჭი ღიდ უარზე იდგა
და იძახებდა: ლეთისა და ბატონის რისხვა მქონდეს,
თუ უტახებდათ ამ მომსელოდეს. ამ შემთხვევამ ღი-
დი სიცილი და ხარხარი გამოიწვია და ის აზნაუ-
რთველიც განგებ აწვიადებდა ტკივილს, ისეამდა
წვივზე ხელს და იტყანებოდა. ძაღლები რომ გარე-
კეს, რამდენიმე ბიჭი კარებზე დააყენეს ჯარით, რომ
ალარ შემოსულიყვენ. ეს შემთხვევა პირველი არ
ყოფილა და უკანასკნელია. ახა თუ ჩვენ ოჯახში,
სხვის ოჯახებშიც ამ გავრიც შემთხვევა იყო ხოლ-
მე; თითქმის ყველა იჯარაზედ ყოველ სადილ ვაშა-
შზე ამ სუფრის ფეხების ცრადილი იყო და ძაღლე-
ბის გერება და აზრათ არავის მოსდიოდა, რომ ერთ-
ხელეე გაემარტებინა სუფრის ფეხები და ან ბიჭები სა-
დილობამდელ კარებზე დაეყენებინათ, რა ძაღლები
არ შემოსულიყვენ ხოლმე. ამ აჩირვეულობას ისე
იყვენ მიჩვეული ღიდი და პატარა, რომ უამისოთ
ვერც კი შევიძლიათ წარმოადგინათ სადილ-ვაშლის
ქამა, თითქოს ეს ყველა, აუცილებელი საქირება
ყოფილიყოს ისე, როგორც ღედლისაგან სუფრის
კურთხევა. ყოველიფერს რა მოარჩენ და დალაგეს
საქმელები სუფრაზე, უტახათ დედა-ჩემმა შექცილა
მამა-ჩემს. — რას შერები მაგას! — თურმე მამაჩემს კა-
რგი მოხდალი ლუქმა ჩაეფა პირში, ისე რომ ჯერ
ღედელს მამაჩემიო არ ეთქვა და სუფრა არ ეკუ-
რთებინა. ახლა კი გაახსენდა, წამოვარდა ზეზე და
ხელით ანიშნა ღედელს, ღედელმაც სისწრაფით მა-
მაჩემნიო გადიკითხა, აკურთხა სუფრა და მაშინ კი
მამაჩემმა გადავალაბა ლუქმა და მიუბრუნდა ღედელსა-
„მამაო, კინაღამ არ დამხარჩე, მოშით ვერ გადა-
ვალაბე, სირცხვილით ვერ გაღმეოვადე და შენ კი
ლოცვა გააკანაურეო.“ — შენი რისხვა ნუ მომცემსა
გადავახტე, ორჯერ გადავახტე, რამდენიც შევიძელი
ჩაუაუწიჩე. — ამ სიტყვებზე დედა ჩემი გაჯავრდა და
უსაყვედურა მამა ჩემს. სულ შენი სულწასულობის
ბრალია, რომ ღედელსაც ცრადეში აგდებ და გმო-
ბას ალაპარაკებ. ეს გუფონია ღლოცვის გადაფუწე-
ჩება და ლეთის მოტყუებაო. — ღედელი გაწითლდა
და თავის გასამართლებლად წაილულღულა. — არა
უშავს რა, პური და ღვინო ისეც ნაკურთხია ღეთ-
საგანო; ცოტა რომ დააკლდეს, რა უშავსო. — რას
ამბობ, ღედლო, სიტყვა დედა-ჩემმა, რაც კი არსე-
ბობს ქვეყანაზე ღმერთს უტკურთხებია, რა გაუჩენია.

— მამა რაღა საქირია ტურთხენი რა ყოველ დღე
ხელში გიჭირავს. — ეს ბასი ეინ იცის, რამდენს ხანს
გაგჩივდებოდა და რითი ვთავადებოდა, რომ მა-
მაჩემს არ დაეყვირა. — კარგია, ახლა რა ღროს ეგ
არის, მშიაო. ყველამ ხმა ჩაიწყვიტეს და შეუდგენ
გულსმოდღინეთ ქამას.

სუფრა სხვადა-სხვა თავი საქმელებით აივსო,
თავთუფისი კერძი ყველას საყოფი ედგა წინ, მაგრამ
მაინც მამა ჩემს მოართევს ხელ-გობით და დაუდგეს
წინ ასო-ასოთ აქინილი რაჭული ხბო, რომელსაც
მოსაკითხათ უგზავნიდა ხან ერთს და ხან მეორეს.
ისინიც თავყანისცემით მოახსენებდნენ ხოლმე: „ღმე-
რთმა ნუ მოგვაკლოს თქვენი მოწყალებათა“. ამ
ღროს გავიხებდ და შუა ოთახში რომ გამწყვირეულ-
ლი ბიჭები თავზე გვადენ და ჩვენ ქამას რომ უყუ-
რებდნენ და ტურჩებს აცმაკურებდნენ, მათ რიტხეში
ჩემი ძიძიშვილიც იდგა. თვალის მიქნია, მიხვდი, რაც
უნდოდა, გაეპარე ხელი, ეტაცე შუა ძვალს და
ელესავით გადაუგდე. ბურთში გაჩეულმა ბიჭმაც,
რასაკირეულია, მიმინოსავით დაიჭირა და იგლო უბე-
ში. ბეგრმა თვალს ევერ მოასწრო ამ ჩვენ ხორცილ
გაბურთავებს; მაგრამ დედა ჩემმა შენიშინა და სიცი-
ლით მიიხზხა: „შვილო, მარტო მაგას რომ მოუკი-
ნებ, სხვებს ხომ გული დაწუებათო! მაგის ტოლა
ბიჭები, ორი სამი, ხომ ხედავ, სხვაც არისო! ისი-
ნი სულ შენი შინაყმები და ეწვირები იქნებიაო!
მოუკითხე იმთაკო! — მე ღიდი სიამოვნებით ავა-
სრულე დედის ბძანება და თითო ნაჭერი გადავუდგე
სამიფეს. ეტყობოდათ, რომ ბურთოთაში ისინიც გა-
წაუული იყვენ, ორმა მთებანმა თითები ისე გამოკრეს
ჭაერში მოტრიალე ხორცს, როგორც მიმინო ბრჭუ-
ლები მწყურს, მხოლოდ ერთ იმთავანს, რომელიც
უფრო მოხრდილი იყო, გაუფარდა ძირს. „აი დაგე-
სხა თავსლაფო! — მიახახეს აქეთ-იქდან, ევერ ყო-
ფილხარ ბატონის ერთგულიო!“ შერცხვა ბიჭს, მა-
გრამ ხორცის ნაჭერი მარჯვეთ მომუქნა. „პალური
მაგასო! — ბძანა ბატონმა, მიციხედნე პატარა ბიჭები
და ჰქრეს პალური. საკირეულია! ეს პალური არც
მეპალურეებს და არც მპალურეს არა სწენიაო, შე-
იქნა ერთი საზოგადო სიცილი და ხარხარა. პატარა
ბიჭებს პურიც გადაუგდეს და ისინიც სიამოვნებით
გაცივდნენ გარეთ, რომ პირი ჩაეგვერელებინათ.
სუფრაზე ღვინოს არავის არ აძალდებდნენ, მხოლოდ
მერტივეებს ეჭირათ ხელში ღვინით სავსე ღოქები და
დაიცილებოდა თუ არა ეისიბე ქიკა, მაშინვე ავსე-
ბდნენ. საღვებრელოებით არ იკოდენ; პირველს ჭი-
ქას რომ აღებდენ, მაშინ კი პირჯვარს გამოიხსავ-
დენ და ოტყოდენ: „ღედებაა ღმერთსა! — მოწყალესა
ერსა! ღმერთო გაუმარჯვე ბატონსა და ყმებსა, აქა


მბაძნებელსა!“ „შენღობა მამაო.“ ეტყოდენ ლედელსაჲ და ვადაჲკრადენ ლენოს. მერე კი იმდენსა სვამდენ, რამდენიც უნდოდათ. სამიზეზო სადღევრძელოები კი ფიქრადჲ არ მოსდიოდათ.

სადილი რაც უფრო გქმლდებოდა, უფრო და უფრო ეტყობოდა მხიარულება ყველას. იცინოდენ, ხუმრობდენ და სასაცილო ამბებს ამბობდენ. სიცილოსა და მუსაიფში ზანდაზან ფარეშებიც გამოერეოდენ, მაგრამ თავი კი მხიარულთა ეჭრათ. ვათავდა სადილი, სუფრა აალაგეს; ფარეშებმა ხელი დააბანინეს ისევ ყველას და წვიდ-წამოვიდენ. სახლში მხოლოდ დარჩენ ბატონები. იმ დროში ნასადილევს ძილი ყველასათვის აუცილებელი საქირა იყო და აკრთომ დიდ-მამა საწოლ ოთახში დარჩენ, და მე კი სასტუმრო ოთახში შემეყიანეს და იქ დამტოვეს: „იყავი მანდო, და როცა ძილი მოგინდეს, წამოწვი ტახტზე, მუთოჲა მანდერ არიო, მიიღევი და დაიძინეო. სანამდის არ ავრილდეს, კარში არ გავიშვებთ, ხომ ხედავ, რომ სიციით დედამიწას აღმური აღისო. ყოველი ცხოველი გამოარტყებულა, ან ბრაზიანა ძაღლმა არ დაგვლიჯოს, ან გველმა არ დაგებინოსო. რა ავრილდება, მაშინ კი პატარა ბიჭებიც გამოიღვიძებენ და იხტუნეთ ერთად ეზოში, რამდენიც ვინაოდესთო.“ მომიკეტეს კარები და დამტოვეს მარტო. ეს პირველი შემთხვევა იყო ჩემ სიცილსაღმეში, რომ მარტო დავჩინილიყავი, და ისიც კარდაკეტულ ოთახში. დაღონდი და დეიწვე ფიქრი. მე გული ისევ ჩემი სოფლისკენ მქონდა. „მართალია, ამისთანა სიტყვში, ვამბობ ჩემ გუნებაში, მზეში ყოფა და წაწალი არ ვარგია, მაგრამ მაგიერთ რა სჯობა იმას, რომ ხეს ქვეშ ჩეროში იჯდე და დანასობის ან კენჭობის თამაშობდე! და

აქ კი არ ვიცი, რა უნდა გავაკეთო! ძილიო, რომ მიუტნებია, ვანა ძილის გულა ვარ, რომ დღეც ვიკოტრიალო?“ ამ გვარი ფიქრები სვედასავით მომწვენ გულზე და ყელში რაღაც ბურთივით გამეჩაბა. უტბათ რაღაცამ გრიალი დაიწყო. მივიხედე კედლისკენ და შეენიშნე რომ (თურმე კედლის სათი იყო), თითქოს კოლოფის მსგავსი შეიძრაო, გაიღო კარები, გამოიხტა გუგული, სამჯერ დაიძახა „გუ-გუ“ო და შეყო ისევ თავი, დაიშალა. წამოგარდი ზეზე, დამაწყინდა ჯავრიც, მწუხარებაც, ეიფიქრე: „ვის გუგული სად შემოფრენილა-მეთქი“. ის სოფელშიდაც ვიციდი, რომ გუგული ბუდეს არ იციებდა და სხვის ბუდეში სდებდა კერცხებს. ეთქვი, სწორედ მერცხლის ბუდეა. აქა და იქ ზის-მეთქი. მოვინდომე, რომ მივპაროდი და ქუდი დამეხურა ზედ. მივეპარე ფეხ-აკრფით ნელ-ნელა, დადგი სკამი და შევლდე ზედ, მაგრამ მაინც ვერ აწვდი. საათი მალდა იყო ჩამოკიდული, სკამი სკამზე დადგი და ისე ვაპირებდი მიპარვას, შეგვპოტინდი; მაგრამ ამ დროს გამომისხტა სკამი, ვადმოვარდი და ვამხდა ბრევეა პოლზე. ხეაურობაზე გამოვიცინდენ მეორე ოთახიდან, და ვამხეართული რომ მნახეს პოლზე, ჯერ შევიშინდათ, მაგრამ მერე კი რომ მნახეს, არა მიჭირდა რა, სიცილი აიტყვებს. მე შემრცხვა და მოერთე ტირილი. გული ამომიჯდა და ვეღარავრით ვეღარ ვამაჩერეს, სანამდი ჩემმა უფროსმა დამ არ მომკიდა ხელი და არ წამიყენა სამაახლოში, სადაც ჩემი ძიდაც სტუმრათ იყო.

აგაჲ

(შემდეგი იქნება)



არჩიზბლდ როზბერი




ლაღსტონის მოადგილე ახლანდელი მინისტრი ჯერ კიდევ საქაო ახალგაზდაა, ორმოც-და-შვიდი წლის კაცია, პირ-რეკელი და ცისფერი ქუჭუნა თვალებიანი. ის არის ძველი დიდებული ინგლისის გვარის შთამომავლობისა. მე ეი-პერი ამ საუკუნს უღიდვის და უქუქიანის კაცის ადგილს, თუმცა კი ვაგიტყდებით არ შემოიძლია მისი მაგიერთა გაუწიო ქვეყანასო.—გამოუცხადა როზბერიმ ღებუტათ პალატის წევრებს,—როცა ამავეი მოვიდა, რომ გლადსტონი თვალების აედამყოფობისა გამო გამოემწვიდობა თავის თანამდებობასო, ირლანდიის თეთ-გამეგობის დამყარების მომხრენი

შემრწუნდენ, როცა ვაიგეს ეს ამავეი და წამოიძახეს: აჲ კი წახდა ირლანდიის თეთ-გამეგობის საქმეო.

იმათ დასაშემიღებლად ლორდმა როზბერიმ არ დააგინა თავისი პროგრამის გამოცხადება: მე პატიოსანი სიტყვა მიმიცია გლადსტონისთვის და უკანასკნელს ჩემს ღონეს შეესწირავ, რომ დეავერგვიწო ირლანდიის თეთ-გამეგობის საქმეო. იმან პირდაპირ გამოაცხადა, რომ ახლანდელს დემოკრატულს დროს არ შეეფერება—მემკვიდრეობითი ალგემი ლორდების პალატაშიო. იგი უნდა ვადაკეთდეს უფრო დემოკრატიულად და მოისპოს უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობის მემკვიდრეობით დაჲქარაო. ასეთი თანამდებობა კაცის მიერ დამსახურებული უნდა იყოს



თავის მოღვაწეობის შესაფერად და არა მეტყვიდროებით ნაშოენიო. როზბერს ჰყავდა ინგლისელი როტშილდის მეიერი, ქალი ცოლად, რომელიც მიიქვალა 1890 წელს. არჩიბალდი მწერლობაში უკვე სახელ-განთქმული კაცია. მის მიერ დაწერილი ბიოგრაფია ეილლიამ პიტტის საუცეთესო თხზულებად ითვლება ახლა ინგლისში; ეტყობა კიდევ, რომ უნდა გაჰყვეს მის პროგრამას. ეს ეილლიამ პიტტი იყო დაუძინებელი მტერი ნაპოლეონ პირველისა, უფრო იმან დაამხო ნაპოლეონის ძლიერება. ჩვენ დროში როზბერსსაც მის მაგიერო-



არჩილბად როზბერი

ბა უნდა. ის ამბობს, რომ გარეშე პოლიტიკაში ჩვენ ვერ მოვითმენთ, რომ როზმელიმე სახელმწიფო შეიქნეს საშიში და ევროპის მზარცანებელიო. კიდევ ამიტომ ის უფრო თანაუგრძნობს სამთა-კავშირს და დიდს ყურადღებას აქცევს ჩრდილოეთის ინდოეთის საზღვრების გამაგრებას, ინგლისის ფლოტის გაძლიერებას. ამ შემთხვევაში გლადსტონი და როზბერი ძალიან განირჩევიან აზრებით ერთმანეთში. გლადსტონი ამბობდა: - ჩვენ გარეშე სახელმწიფოთა შორის მტერი არაიქნება გვეყეს; ჩვენი მტერი შინაური უთანხმოებაა ირლანდიელების შგ-

ვიწროებისა გამო. მიეცეთ ირლანდიას შინაურს საქმეებში სრული თავისუფალი გამგეობა, გავაუმჯობესოთ მუშა-ხალხის მდგომარეობა, სხვა ჩვენ არა გვინდა რაო. დევი, უცხო ქვეყნის სახელმწიფოებმა ერთმანეთს თავი ახალონ, ინგლისი იმათ საქმეში ნუ გაერგეოა.

როზბერი სულ სხვა აზრისა არის, ვიდრე გლადსტონი. ის ამბობს: გარეშე სახელმწიფოთა საშხედრო მზადებაზე რომ თვალი დავიბრმავოთ, ესეც არ შეიძლებაო. ინდოეთი ჩვენი მასაზრდოვებელი საუზრეაო. მის ხელში ჩაგდებას აპირებენო და ნუ თუ ჩვენ თვალი არ უნდა გამოვაჭყიტოთო?... როზბერის ასეთი მღვიძარებებს გარეშეპოლიტიკაში ისიც ამტკიცებს, რომ ამ ცოტა ხანში ერთ სადილზე ლენინგოლმა როზბერტსმა, აელანიაში მეგობრობმა, წარმოსთქვა ფიცხი სიტყვა, სამხედრო მზადების დასაწყებად. მისი აზრები სრულდებით ეთანხმება არჩიბალდ როზბერის პროგრამას და, როგორც სწავს, როზბერის ნება-დართეითაც იყო ეს ფიცხი სიტყვა წარმოთქმული.



მ სოფელ-ქვეყნად რომ მოველ, რა ვაიკეთე, რა ვბოვე?
სახნაიე შემხედა ყამირი

და ყამირადე დავსტოვე.
წყედლის გასანათებლად
ცეცხლი ვერ დამიკვსია,
უყს ვერ ჩაუგდე საკეთი,
შიგ ვერა ჩამითესია!

მოსვლით ქვეყანას ვერ ვარგე,
ვერც ვაკლებ ვერას წასვლითა!
სოფელს ამაოდ ნუგეშს ვცემ:
ვერ ვაგწმენდ ნაღველს ნაღვლითა!
ტარჯა ზღვად დვას ამ ქვეყნად!
ვლეო და ვერ დამილეთია;
ბოროტთან ვომობ... ვერც მისთვის
ხელი ვერ დამირეთია!

ეს, უქმი არის ეს ჩემი
კნესა და მწარე ჩივილი:
ვერ შეაწუხებს ადვილად
სხვას სხვისი გულის ტყვილი!

კ რ ი ტ ი კ ა

ქართული გლეხის შვილი

(„ს.გლ.“—მოთხრობა ნ. მეღანიასი, 1891 წ.)

II

მანეთის ერთს სოფელში, სახელდობრ მრავლეთში, კვირას, ასე დღის ათს საათზე, მღვდელს ქრისტესია ჰამიაშვილს შემოულობავს ეზო ზღიდის ფურცელს (თუთის—ბეჟის ხე) ქვეშ თავი მოუყრიათ მთავარ-დაიკავანს სპირიტონ ტაბლიაშვილს, დაიკავან ისე ქელუაძეს, რომელსაც ხალხი „კანჭი-ყლაპიას“ ან „სახალის ანგლოზს“ ეძახის, და მათეს ანდრია—ციმუა ბორბოშაძეს. ესენი, ეიდრე თავის სახლიდან მღვდელი იმათთან გამოვიდოდეს, მეტად საყურადღებო მუსიკაში არიან, რომელიც გამოუწვევა ერთას საწყალობელი გლეხის თვალთან ზურჩის გადაცელებას. ზურჩია ბატონს (მოთხრობა იწყება იმ დროიდან, როდესაც ბატონ-ყმობის გაყრის ვაჟი მოაწვლიდა) „როზვით ვერტყმობენ“, რადგანაც სხვა შინა-ყმა ბიჭებთან ერთად, სხვის დაბეზლებით, იმასაც დასწამებს ბატონის ზეარში ყუძნის მოპარება. საწყალობელს თუმცა ბევრი ეყვია: „მე არა ვარ დამაწაფეო“, მაგრამ ბატონი იძახოდა „დაჰკაერთო, მოალაღებ უმას ე მაგრე უნდაო“ და მას აქეთ ეღვარა ევითლებინა... მომკედარიყო.

აი, მამა ქრისტესიაც გამოვიდა სახლიდან და მთელი ჩვენი დანაწობი კრებული კიდევ მეტად გასართობელი და საყურადღებო საუბრით სასოფლოს მიაღვა. აქ კრებულა შედგა, რადგან ხალხმა ბასი გაუმართა და, მცირე ხანს შემდეგ, პატარა წწულის სახლიდან გამოსვენეს ცხედარიც შეუმოსავი კუბოთი. ცხედარს მოკვირდა გადაცელებულის ქერივი თამარი, ოქროაშვილის ქალი და, სხვათა შორის მოსთქამდა ამ სიტყვებსაც:

„ვი უნდა უფლოს ყური და უბატრონოს შენს პატარა ილიას!...“

ერთი პატარა, პერანგსამარა ბავში, რომელმაც იცნო მამა დედისა ცხედარს დაედგნა ყვირილით: ვაიმე, დედი! ცად მიქვალ, ეთი!?!...“

ზურჩიას გადაცელებასთან ერთად მოისპო იმისი სახელიცა და გვარიც. იმის სახლსა და ობოლს სოფლის ხალხი ეძახოდა „ოქროულასას“. გავიდა დრო. ოქროულის შვილი, თორმეტი წლის ილა ყვეფილ-ბატონებთან ვაზდა ავად და ცეცხლიპირას, მარჯვით იწვა ნაბაღზე. ავადმყოფს თავით უჯდა დედა, ფეხთან ევდა მუზობლის დედა-კაცი ქეთო, მეორე მხარეს, კერასთან იჯდა ოთხმოცი წლის დედაბერი „შამანლუხა“. შამანლუხას ქვემოდ დამწკრი-

ვებულებენ სამი იანანის მოქმელი გოგო. ყველაზე ბოლოს იჯდა გოგო— მკა. ესენი მოჰყვებიან ჯადოს კუდიანების საწარწელს ამბებს და ამდროს ავადმყოფი ძილში წამოიყვირებს: „ვაიმე, დედე, მიშველეთო“ და გამოეღვიძება. შემწინებული დედა ჩაჰკითხავს თავის შვილს, თუ რად ჰყვიროდა ძილში და შვილიც უამბობს:—„გუდურაზე (ციოთამ) ტყეში ეიყავი ფინხის მოსატანადო“ ეიყავ სიზმარში და ბრმა ლელიდან ერთი დიდ-კბილივდა დედაცოც გამომიდგა, უნდოდა დაევირე. ის იყო მიქვრდა, რომ არ გამამდიძებოდა“... ავადმყოფს ჯვარი გადასწერეს და იანანა უმღერეს. იანანას შემდეგ, სუყველამ იცევა ქეთოს ჩონგურზე; მერე იანაშმეს და შამანლუხამ, გოგობის თბოვით, ზღაპარიც სთქვა. სულ ბოლოს, ლოცვები თქვენ და დასაძინებლად ყველანი წამოწვენ იქვე ცეცხლისპირს.

ილა ბატონები მოიხადა და... წამოიზარდა. წამოზღისათანავე ილას აუტყვენ სოულას ჰამიები, უნდოდათ იგი მოჯამაგირედ დაექარავენინათ თავისთვის, მაგრამ ოქროულა ისეთა მხნეობით ეწინააღმდეგებოდა მღვდელსაცა და სხვა ერის კაცს, მავ. თავის მანღს ფილის, რომ მრავლეთში, ეტრანე მოახერხა, ილა მოჯამაგირედ დაევირა. ასეთის წინააღმდეგობისა მიზეზიც ჰქონდა ოქროულას. ზურჩიამ ანდერძად დაუგდო ცოლს; „ილა მოჯამაგირედ არავის დაუყენოე და ჩემსავით ჯანი დაღონე სხვისათვის არ შევლენინოეო... ილა მაინც აიყოლიეს, გაუბრიყვის დედას შვილი და მოჯამაგირედ. ფუღის საშოვნელად ყვარლისაკენ გასწრა. მაგრამ მოჯამაგირემა ჰქუთუში არ დაუჯდა და სახლში მობრუნდა. დედის საყვედურზე შინ დაბრუნებულმა შვილმა გულწრფელად უთხრა, რომ „ოჯახ დაქეულმა ფილიამ“ გააბრიყვა და ამას შემდეგ იგი ოჯახს აღარ მოსცილებია; ხენა-თესვით, მუშაობით თავის საკუთარ კარ-მიდამოს დაუტრიალდა.

ილა ერთბაშე მოხდენილი, მხნე და შეწინებელი ლამის მხერგ და მუშა ბიჭი დაღვა. მამის ოჯახი თავისი მხნეობითა და გამრჯელობით კარგად მოაწყო, ასე რომ ხალხი ამბობდა „ღმერთსაც უყვარს მაგისთანა გამრჯელი და კაცსაც!“ იმის ტოლ-ამხანაგებს თითქოს შურით, რომ ილა „იღბლიანია“. ილა ჰკერნობს თავის სიღაზათეს და მოხდენილობას, იცის, რომ სოფელში იმისთანა შოიანი ბიჭი არც კი არის და გონება საღლაც შორს უქრას; სახნზე ხან-და-ხან რალაც საიდუმლოებით მოცული ღიმილი ენახება; უწყველ სიცოცხლე და შეჭხარის ცხარეებას... მაგრამ ყველაზე უფრო უყვარს... სიმღერით გეტყვისთ ეინც უყვარს:

„წავალ და ჩაეფუტები ივანეს გოგოს უფესა!“

ივანე მეშველიშვილის ქალი, მარო, აბრია დი-
აკვის სოლის, ანასტასიას შევირდი „მზულდრობას“
(მზულდრობა — დღეობა სოფელს გურჯაანში) ენახა
ილას და მას აქეთ იმას ტკილიად აღარ დაუქინია.
მარო, მართლაც, ძლიერ ღამაში და შევნიერი არსე-
ბა იყო. „მთვარესავით ბადრი პირი და წითელი თუ-
რთაშული ვაშლივით ლოყები“ ჰქონდა, რომელზედაც
„მაჯის იმისხო, უსურფავივით დაგზებელი კაგები“
გულის მომზინალებლად ჩამოჰკრებოდა. ბეჭებზე
„კიდევ ოთხი შოლტივით ნაწაიე“ ეყარა. შევ-თეულ
წარბა მაროს გულგურადაც რომ არ ეცვა? ილა ამ-
ბობს, „თავადურად აცვია, შიგნი თეთრიანი ჩითის
კაბა აქვს, აი, რუშინას რომ ეძახიან... დიაკვის
კოლთან ყოფილა შვირდამ და რა იქნება იგეთი,
რომ იმას არ უწაფლებდეს. სუ თეადურის სიტყვა-
პასუხობით ღამაჩაკობსო.“ წერა-კითხვასთან ერთად,
დიაკვის კოლმა მაროს ასწავლა აგრეთვე კარგი
ჭრა-კრეფა და ხელ-საქმეც.

მაროსაც ჩაუყარდა ილას სიყვარული გულში.
ეგ კი არა, მეტიც დაემართა. „გულ-კედლის შვილმა
ჩემი გულიცა, ჰქვაცა და გონებაც იმან წაილა.“ —
ეტყუდა ხოლმე მარო თავის ამხანაჟს. „ნეტუა ერთი
დაკვანახა, როცა თანა მღერობდა და თან უყლიდა წყალ-
წყალა ჩრტივით — სულ ჩლიქებზე დგებოდა... მერე,
რაც სახელი მე მიყვარს, ისა ჰქვია.“

ილა თვლიაშვილმა ცოლად შეირთო მარო,
მოიყვანა თავის ოჯახში და ქორწილი გადაიხდა.
მაროს დედ-მამაც მოუყიდა და ახალ-ვაზდა ცოლ-
ქმარმა გაიხარა, მაგრამ სამშობლოს ნახეა მიანც
ენატრებოდა მაროს და ექვს თვეს შემდეგ ჯვარის
წერის უფროსმა მშამ სამშობლოში წაიყვანა თავი-
ნი დაი მოსალოგებოდა. იქ მაროს ეყოლა ეფე,
პატარა გიგია, რამაც ძლიერ გაახარა მოხუცებული
ოქროსულა, რომელიც იმის დალოცვასა, მოვლა-პა-
ტრონობასა და აღზრდას აწარმოებდა თავის სიცოც-
ხლეს...

ერთს კერა დღეს სასოვლოზე — ამ საქართვე-
ლოს „აგორაზე“ ხალხს კვლავ მოიყვარა თავი. სასო-
ვლის სურათი, ავტორის მიერ ჩამოსხმული, ერთი
უფიარფასესი მარგალიტთავანია მიეღეს ქართულ ლი-
ტერატურაში. აქ არის წამოკომული ორი თვლი-
ქეთ-კირის დუქანი „ხაზინის“ ან არტემა არხუმა-
ნოვისა, რომელსაც წინა დილიაში ამოჩრილი ყუ-
თით დაჰქონდა საწერილობა, ბინა მამულანთ მა-
რანში ჰქონდა და ხალხი „რეტრანსა“ და „დაუტყვი-
ნეს“ ეძახოდა. ერთს თვალში იყო ფარხის დუქანი,
მეორეში — ბაყლის და საწერილობასი. დღეს ორი-
ვე დუქანს არტემა ამუშავებდა თავის საკუთარი ფუ-
ლვით. არტემამ მრავლის უმრავლესი ეყრანები შე-

იძინა და დიდ ზერებად გადაქცია. ან არტემამ
ქეთ-კირის სახლიც აიშენა შევნიერი აივანითა და
„საკულოა“ ბაღებით. ეზოც ღამაზად მორთო. თან
არტემას ორი ვაჟი ჰყავს და ორივეს არხენად გომ-
ნაზაში ზრდის. მთელი სოფლის გაელენიანი კაც-
ბიც კი არტემას უთმობენ ყოველისფერს, რადგანაც
სიმიდლის შექმნას შემდეგ, წრეს გადასული გულ-
ფიცხი შექნა.

აი, დღესაც ქოშებზე შემდგარა და ძვირფასი
კრილოვსანიო დაამებულს „ხაზინის“ გვერდით
უდგას მამასახლისი თავისი „სულიებით“ და მწერლით.
აქვე, დუქნის წინ, ჯგუფ-ჯგუფად დგას მთელი მრავ-
ლეთის სოფლის ხალხი და ბაასობს, ყაყარობს. აქვე
ბრძანდება „ქნაზი“ შაქროც, რომლისთვისაც სახ-
ლი გაუტეხნათ და „მეწიშო“ დაუპირათ. ერის აღ-
გლოს ავტორის სიტყვითაც, იყო მეტი მეტად საი-
ნტერესო ბაასი. გუთნის დედებს საქვეყნოდაც კი-
ლობა ჰქონდათ ილოზე გამართული. ილას ეს გა-
რემოება ახარებდა და ღამაჩაკვებდა. სხეთა
შორის მან თქვა, რომ გუშინ ჩ—ში ერთი კაცი ცა-
მეტ მანეთიან იაფიჯს (გაძეოლ ბეჭვიანი ნაბადი) ორ
მანეთად აფასებდა და მე საცადელს ერთი მანეთი
არ მივცა ჯინებში, რომ მიყიდა. ამ სიტყვებს ყუ-
რი მოჰყარა „ქნაზმა“ და საქვეყნოდ მამასახლისის
უთხრა, რომ ქურდი ჩნდება, ოქროსულს ბიქს უნა-
ხავსო. ამ გარემოებითაც გახარებული ილა, რომ
თავის ნაბატონარს ასიამოვნებდა, შინისკენ მიდის.
„ქნაზი“ შაქრო კი მამასახლისის დაედევნება მასთან
სადილის საქველად.

მამასახლისი გიგია, რომლის პურადობის ამბავი
გუბერნიის ქალაქშიაც იყო ჩასული, წელიწადში
ორჯულ მიიცვალა გატარებინებდა სანატორიუს დროს
მარის მთელ თავადიშვილობას და მარის უფროსს.
ყველაზე უფრო განთქმული იყო გიგიას „ტომბახე-
ბი“ მამასახლისად არჩევის გამო, გიგია სწორედ
მიდარულად იყო ოჯახში მორთული და თვითო-
ნაც წამოსაღვი ეფე-კაცი გახლდათ. „ქნაზი“ შაქ-
როც „დამეგობრებული იყო, რასაკვირველია, მასთან
და ხშირად იმასთან მიერთებულად ხოლმე პურს, რად-
განაც მამასახლისის უფასოდ აძლევდა შაქრო საზო-
გადო ტყიდან მერქანს, ქოვას, შემწა-ფინჩსა და სხ...
მიანც ამ ტყის მეტი (თუმცა ისიც საზოგადო მოძ-
მეების იყო, მაგრამ სარგებლობით, ყველაზე მეტს
უფრო სარგებლობდა თავისი მოხერხებით). იმას აუ-
არა გაანდა რა, ისე გაღარბებულიყო. მამა-პაპეული
ქონება სულ ერთიანად გაველანგა და „ქნაზი“ შაქ-
როს „უფიერჯანეს ადვილად ან ან არტემას დუქა-
ნი გახლდათ, ამ მამასახლისის ოჯახი. ამასთანავე
„ქნაზი“ შაქრო“ ბატონ-ქმობის დროიდანვე „პატარა-

ძღობში ნეარდობას“ დაწვეული იყო... და, აი, ახლაც, მამასახლისის დახმარებით, გულით მოწოდინებულია „ოქროულის ჩილის გემო ვაილის და ერთი საღობელივით აქანას“. შაქრის მამასახლისმაც კვერი დაუჭრა და საქმე საბოლოოდ გადაწყვიტა...

გულ-მარტივს ილიას ძნელი „უგლოვინი“ საქმე მოახივებს თავზე. მამასახლისის დახმარებით „ცინაზმა შაქრომ“ თავის სახლის გატეხა და „ექვამბის“ მოპარვა უჩივლა სასამართლოში. მომრიგებელ მოსამართლის წინაშე, თარჯიმანის პირით, იღამ აღიარა სრული სიზარტოე, მაგრამ როგორც ვარდ გმოსულს იღას ერთმა სომეხმა უთხრა, —სიზარტოე აქ არ გამოგადგება, ჩემო ძმაო! ნამდვილ არ გამოადგა და რამდენისამე თვით სიღნაღის საპატიმროში დატუსაღება გადაუწყვიტეს. იღამ ოლქის სასამართლოშიაც კი გადაიტანა აველაცია, რომელიც იმის „აბლაკატი“ სიტყვით, „ქეჰასაც კი გახეთქდა“, მაგრამ არა გამოვიდა რა. ილია დაატუსაღეს და მოხუცებული დედა მიისი, ოქროულაც ედღარ გადურჩა ერთად ერთი შვილის გაუმბეღლებით სიმძიმეს: ელდა ეცა და... თქვენი კორე წაიღო.

დარჩა სულ მარტადმარტო პატარა გიგის ამარა მარო, რომელსაც ერთ დამეს შაქრომა და მამასახლისმა სახლის კარები შეუმტვრია. მარომ მორთო კივილი. კივილზე ახლო მეზობელმა კაცმა მიშველება დააპირა და შეიქაქანა... მაგრამ...

— „დათივ, რატომ შენთვის არ დაძღვები! ეხლა შენ ჭუუა გაქვს, რო მაგოდენასა ჰყვირა? კაცმა იცნო ხმა და მაშინვე შეგბრუნდა შინ.“ „საბრალო მაროს კივილი ცანა სწევებოდა, მაგრამ მიშველება ევრაივინ გაბედა. ეს კივილი მაროსაგან პირველი და უკანასკნელი იყო. შემდეგ აღარავის გაუგონია იმი-სგან კივილიო.“

სოფლის ალალი ახალ-გაზდა ილია გამოუთქმელის ზიზრით შესცქეროდა სატუსაღოსა და ტუსაღებს. სიცოცხლე გამწარებოდა და პატარა ბაღლივით გული ამოუჯვდებოდა და მაღალი ხმით მწარედ მოსთქემადა. ჩვენს ტუსაღს დღისით ცოლ-შვილისა, დედისა და კარ-მიდამოს დარდი არ აყენებდა და ღამე კიდევ სიზმრებმა მოსწყვიტეს წელი. თითქმის გავიყდა კაცი... მაგრამ გაიარა ხანმა და იღას ღრმა მწუხარებაც თან წაიღო. წამბილწველი ზედ-მოქმედება იქონია სატუსაღომ და ტუსაღთა ცხოვრებამ ილიაზე. თანდთან შეეჩვია პატიმრებს, გაიწრა ყველანი კარგად, ისწავლა თათრული ლაპარაკი და ბაიათები, რადგანაც ძლიერ დაუახლოვდა და დაუმეგობრდა ერთს თათარს, ცინალას.

შემდეგ ავტორი წყალზე წასულ სოფლის მანდილოსნებს აღაპარაკებს, საიდანაც სჩანს, რომ

ილია განუთავისუფლებიათ საპრობილიდან, მოსულა შინ და თავის ცოლზე მოუწესრია მამასახლისისათვის. მამასახლისისათვის იმ წამსვე ხანჯალი ჩაუცია მუცელში, ცოლი კი გაულახავს და გაუგდია. მას აქეთ ილია აღარავის უნახავს. მრავლეთში თათარს დაყონაღებია და ბნელოდ ქცეული, ყანაღად გავარდნილა. მარდილოსნები სწუხან, რომ იღამ არ იცის უმთავრესი დანაშაულის „ცინაზმა“ შაქრის ამბავი, რომელიც „ძალიათ მოჰხადა ნამუსი“ და მამასახლისთან „ერთი ი შაქროც უნდა მიეყოლებინაო“... ბნელო შეიქნა საშინაო და თეჯარ დამცემი ყანალი. ახლა იგი სულ სხვა ნიარად არის გამოწყობილი და სხვა გვარის სულის პატრონია. მთელი ვაღმა და გამოღმა მხარა შიდა კახეთისა, მთელი ალანის მდიდარი და ტურეჯ მინდორ-ცელი და გარეთ კახეთს ბნელოსა და ჩმის აშხანაგის თათრის საბურთალო შეიქნა. მთელი კახეთი შეიპყრო შიშმა და კანკალმა და ბნელო ესიზმრებათ. ბნელოსაც ხომ ერთი წამიც ვერ გაუძლია, ცინაღზე მოსდის გული, თუ ვინმესი ატრეება და გაუმბეღლება დაუგონადა. „ყველანი—მთელი დუნია ურევია ჩემ გაუმბეღლებში და ყველას ჯავრი უნდა ამოეიყარო!“...

მარიკა კი, რომელსაც ძალიად ახადეს ნამუსი და წილად ზედა ქმრის ოჯახიდან გაგდებდა, თავის სახლში წასვლა და იქიდანაც გამოეცემა, ძალი-უნებურათ გარუსკობება, კეკლად სიონათლება და ერთ მეღვინე სომეხს გაჰყვებოდა ღირსაღში. იქიდან „სიღნაღელმა ბიჭებმა დიდი ყოფით წაიყენეს ტფილისში“. გზაზე, იგრის ხიდის ტუქთან, საღ განაღაც გაჩნდა ბნელო, ეყვების სისწრაფით მივირდა მარიკას და დაუშინა მათრახები თავსა და პირში. ბნელოს მეორედაც მიეცა შემთხვევა „შეყროდა“ მარიკას ტფილისში, აბარების ახლოს „სახოგადო ქალღებთან“. აქ იგრის ხიდთან გალახულმა, ჯავრად ჩაყოლილმა მარიკომ აივნინდა ჩამოსძახა ბნელოს უკადრისი სიტყვები, მაგრამ ბნელომ ერთი შეშხნდა, მიუფურთხა და გაუღდა თავის გზას...

ბნელოს ყანაღად გავარდნის ამბავი მთავრობამდის მივიდა და ბოქაულები დაადენეს, მაგრამ ეწრა გაწყეს-რა. მრავლეთში შიგვიდა თვით მარხის უფროსი და მომრიგებელი შუამავალიც. მთავრობის წინაშე „ხალხმა ერთხმად“ ისურვა ბნელოს გადასაღება... ბნელომ მწარედ ამოიოხრა და სთქვა:

— ეჰ, თუ აქ ვერ ამოეიყარე ჯავრი, საიქმოს მოესთხოვ პასუხს, ვინც მე ვერ საქმე გამიხადა... მაგრამ ბნელოს მაქროზე დამუქრებას ყური არავინ ათხოვა, განაჰინი შეუდგინეს, ბნელოც იმ დღესვე დაიჭირეს და საუკუნოდ გაისტუმრეს ციე ბნელებისკენ.

(შემდეგი იქნება) ხომოდულ

რიგოზრ ამენდა გელათი?

ქრონიკები თ. ურდანიას მიერ გამოცემული

გელათის მონასტრის ზედწარწერათა განსახილველად წავედი, მე მაშინ ვარდა ხუროთ-მოძღვრებითი გეგმებისა და ბროსისს გამოკლევისა სხვა წერილობითი საბუთი არა მეჭირა რა ხელში. მას აქეთ ბევრი ახალი წერილობითი წყაროები აღმოჩნდა, რომელნიც ამოწმებენ მაშინდელს ჩემ მიერ გამოთქმულს აზრს საზოგადოთ. მაგრამ რაკი ახლა უფრო მეცნიერულად შემუშავებული გეგმები მაქვს ხელში და ამასთანავე უფრო ვრცელი ქართული წერილობითი საბუთებიც, ამისთვის ვეცდები, რამდენათაც ვაჭრის ჩემი მიხედვით, უფრო დაწერილებით გამოვარკვიო გელათის ტაძართა აშენების საქმე სხვადასხვა მეფეების ხელში.

გელათის ეკლესიების ამგებელთა გამოსაცნობად პირველი ალაგი უჭირავს ხუროთ-მოძღვრებისა და მხატვრობის ისტორიულს მეცნიერებას, რაკი რომ ჯერ კიდევ ისეთი წერილობითი საბუთი არა აღმოჩენილა რა ქართულს ენაზე, რომელიც თანამედროული იყოს და პირდაპირს ამშენებელს უჩვენებდეს, ხოლო ხუროთ-მოძღვრების და მხატვრობის საზოგადო ისტორიას ამ ბოლოს დროს დიდი ნათელი მოჰქონა საქართველო-სომხეთის ეკლესიათა გეგმების შესწავლამ. დიუბუამ, ბროსემ და ამ ბო-

ვადტანილი და საკუთრად ამ სტილის ბუდე დღესაც იპოვება—საქართველო და სომხეთით, ასე რომ საქართველო-სომხეთის ეკლესიის ნაწარგეების შესწავლამ მართლაც ახალი ნათელი მოჰქონა მეცნიერებას. ამ შემთხვევაში საქართველოს ძველი ეკლესიის ნაშთები მიანიც საკვირველს მდიდარს მასალას იძლევა ქართულ-რომანულის სტილის თანდათანობითი განვითარებისას. ამ ნაშთების წყალობით შესაძლებელია მეცნიერი მიხედეს ასის წლის განმავლობაში რამდენად განვითარებულია და გამოვალგებულა ქართული ხუროთ-მოძღვრების გეგმა და ქანდაკი. ყოველ საუკუნეს თავის ხუროთ-მოძღვრებითი სტილი ჰქონია და რაკი ამ მიხედვებით შე-

გვიძლია შევხედოთ რომელი საუკუნის კვალი ატყეია ამა-და-ამ ტაძრის გეგმას, მაშასადამე ისიც შეგვიძლია გამოვიცნოთ იმ საუკუნეში რომელი მეფეები ყოფილან და დაახლოებით რომელს მეფეს უნდა აშენებინოს ესა-და-ეს ისტორიული ძეგლი.

გადავფურცლოთ პოლივანოვის თხულები „Экспедиция на Кавказъ 1888 г.“ და განვიხილოთ იქ ჩემნი ძველი ტაძრების გეგმები. პოლივანოვის თხულები ამ შემთხვევაში განსაკუთრებით სრულად და მეცნიერულად შემუშავებულია, რადგან მას მოჰყავს ბროსესა და ღუბუას მიერ



წმიდა მეფე დავით აღმაშენებელი

ლოს დროს პოლივანოვმა რეკონდაკომა დიდი ღვაწლი დასდეს თავიანთ გამოკლევით ხუროთ-მოძღვრების და მხატვრობის ისტორიულს მეცნიერებას. იმათ მიერ შეკრებილი გეგმები საქართველო-სომხეთის ნაშთებისა და მათი აწერილობანი ცხადად ამტკიცებენ დიდ მნიშვნელობას საქართველო-სომხეთის ძველის კულტურისას კაცობრიობის მეცნიერებისათვის. მათ გამოკლევას შემდეგ ევროპის მეცნიერება დარწმუნდა, რომ რომანული და გოთური ხუროთ-მოძღვრებას პირშო სტილი აზიიდან ყოფილა ევროპაში

შედგენილი გეგმები საქართველოს ტაძრებისა, ხმარობს შედარებისთვის მეთოდს, ასწორებს მათს შეცდომებს და მათ გვერდით თავისი გადმოღებული გეგმებიც აქვს მოტანილი

ჩვენ ავიღოთ გელათის ეკლესიების გეგმების შესაბამისებლად, ბედის ტაძრის გეგმა მეთუ საუკუნისა და ქუთაისის ტაძრის გეგმა მეთუთომეტე საუკუნისა.

*) Материалы по археологии Кавказа, выпускъ III, Москва 1893 г.

თუმცა ბედიის ტაძრის აშენებას მიაწერენ ბაგრატ მესამეს, რომელიც ამავე ეკლესიაში დამარტულა ქართლის ცხოვრების მოწმობით, მაგრამ მის ლიპაის და ქუთაისის ბაგრატის ტაძრის პლანს შუა დიდი განსხვავებაა, ასე რომ ჩვენის აზრით ბედიის ტაძარი უფრო ძველია და მისი დაფუძნება უფრო უნდა მიეწერებოდეს ბაგრატის პაპს გიორგი მეორეს, აქაზაშვიტის მეფეს, ვიდრე თვით ბაგრატს, როგორც აქამომდე ამტკიცებენ. ამას მოწმობს მისი სადა ჯვარის სახე, რომლის აღმოსავლეთის კედელი გარედან ბრტყელია და არა სამ-სატრაპეზო რკალად გაყოფილი, როგორც ბაგრატის ტაძარი ქუთაისში. ბედიის ტაძარს არა აქვს აგრეთვე ჩრდილოეთის და სამხრეთის საჯვარეთინო მკლავები ძალიან გამოწეული, ანუ დადგომებული დერეფნებად, როგორც ქუთაისის ბაგრატის ტაძარს. ბედიის ტაძრის შესახებ აი, რას ამბობს პოლიევანოვი: „მისი გარეგანი შემკულობა გამოაყენილია მცენარის ფოთლებითა, რომელიც ქანდაკით ჩაბოლოებული არიან გრეზილობაში და ამას ატყეია ძალიან ძველი დროის კვალი ქანდაკის ხელობისა... ყველა ქანდაკებრივი ფორმები და ზოლები, ქვზე მოჭრილი, მოგაგონებს უფრო აღმოსავლეთის ასურულს ხელობას და ამასთანავე ატყეია ალაგაბრივი თავისებური კაცკასიის (ესე იგი ქართულის) ხელობის კვალი.“

ახლა გავხილეთ ქუთაისის ბაგრატ მესამის მიერ აშენებულს ტაძარზე. მას იგივე კარგი მასალა და მოყვანილი ტიპი აქვს ჯვარის სახედ, როგორც ბედიის ტაძარსა, მხოლოდ აშკარად განიჩრქევა ამ ტაძრისაგან მითი, რომ სამხრეთისა და ჩრდილოეთის ტაძრის მკლავები, შესასვლელი (დერეფნები) ძალიან გამოწეულები აქვს, იმდენად გამოწეულნი არიან, რომ მისი სამხრეთის ფორნტონიან მკლავში, ესე იგი დერეფანში მთელი მოზრდილი ეკლესია არის ჩვენ დროში აგებული. რაიც შეგებდა მის ქანდაკს, იგი ძალიან რთულია: სვეტების თავებზე და ნახევარ თავლების სვეტებზე გამოქანდაკებული არიან ერთმანეთთან მებრძოლი ეფემები, დევები, ფრინველები; გრესილებების ქანდაკში ჰერაბობს მცენარის სახეები და ეს ყოველივე ამტკიცებს ქანდაკური ხელობის წარმატებას შემდეგ საუკუნეში.

ახლა რომ შევადაროთ ბედიისა და ქუთაისის ბაგრატის ტაძრის გვიგამები გელათის ტაძრების გეგმებს, ცხადად დავეხატება თვალ-წინ, რომ ბედიის ტაძარი მოგვაგონებს გელათის წმინდის გიორგის ეკლესიას და ქუთაისის ბაგრატის ტაძრის გეგმა გელათის ლეთის-შობობის დიდ ტაძარს, მაშასადამე უნდა ვთქვაოთ, რომ გელათში წმინდა გიორგის ეკლესია დაწყებულია ბაგრატ მესამის პაპის, აფხაზეთის მეთვის გიორგისაგან მთავრ საუკუნეში; ხოლო გელათის ლეთის-შობობის ტაძარი დაწყებულია უფრო გვიან ბაგრატ მესამის მეუობის დროს მეორეთომეტე საუკუნეში. თვით „ქართლის ცხოვრება“ აფხაზეთის მეფე გიორგის — ბაგრატ მესამის პაპს — აი, როგორ ისინებენ: „ესე გიორგი იყო ლეთის მოწმე და მთავარული, ჰაეროვანი, მხნე, ახოვანი, მოწყალე, უხვი კლესიასთა მძესქუდი, და ქერე-ობოლთა შემწყნარებ.“ თ. ჟორდანიას მიერ გამოცემული ქრონიკებიც

კლავად ნათესს ჰყენს ამ დასკენას, როცა მოჰყავს შიომღვიმის წიგნიდან, რომელიც ყოფილა 1270 წელს დაწერილი, სია ქართველთა დედოფალთა: „ელენისი, გურაზდებტისა და სხვთა აღავეში. ამ ელენეზედ თ. ჟორდანიას ამტკიცებს, რომ „იგი უნდა იყოსთა კლი აფხაზეთა ჩვევის გიორგი II († 996 წ.).“ შესაძლებელია ეს დასკენა მართალი იყოს და ამ ელენეს წილი ედევას ბედიისა და ამის წმინდის გიორგის ეკლესიის აშენებაში და პაპს გამოა მისი აღავებიე ყოფილიყოს სხვა შემდეგ დედოფალთა შორის გაწესებული.

გელათის დიდ ტაძარს ლეთის შობობისას რომ ჩამოეცალათ მიწვებული სამარხა ეკეტრები, ჩამოვლიეც ძალიან აუწეოებენ მას გეგმის სილახავეს, ერთ-არსებას — ისინი მიუკლიებლათ შემდეგ საუკუნეში უნდა იყოს მიწვებული — მაშინ თქვენ წინაშე უნდა წარმოსდგას სრული სახე დიდებულის ბაგრატის ტაძრის, თავის შორს გამოწეული ჩრდილო-სამხრეთის ჯვარედინა მკლავებითა. დიდ გელათის ტაძარი რომ ბაგრატ მესამის მიერ († 1014 წ.) აშენებულა, ამის დამამტკიცებელი საბუთია სხვთა შორის ერთი კედლის ზედწარწერა უნდა იყოს შიგნით ტრაპეზში. ეს ზედწარწერა უწინ დამალული ყოფილა გუჯის ზედ წასმით, რომელზედაც უფრო ახალი მხატვრობაა. დროთა ვითარების გამო ეს გაგი ჩამოციეულა და მას ქვეშ აღმოჩნდა უფრო ძველი წარწერა, ზოგი ამოკითხული ბრძესს მიერ და დაწარჩენი მე ამოვიკითხე*): „პოი, აღიდენ ლმერობან მეფობა ბაგრატ... ამინ“. თვით აკადემიკოსი ბროსე ამტკიცებს, რომ ეს ზედწარწერა, ნაპოენი გლმსილს გაჯს ქვეშ, უფრო ძველია დროის უნდა იყოსთა, ვიდრე გელათის კედლის მხატვრობებია. რაკი ეს ასეა, გეშ ახლა უნდა ვიკითხოთ, რაღა უნდა იყოს ამ ტაძარში დავით აღმაშენებელის მიერ აშენებული? ამს პასუხს ვეძებდეს თვით „ქართლის ცხოვრებამა“ შეტანილი სტომები და თ. ჟორდანიას ქრონიკებიც.

„ქართლის ცხოვრებამი“ (I ნაწ. 239 გვ.) სწერია: „დღესა აღესებასა... მოხედნა რისხვით უფალმან ქვეყანასა და შექრა ქვეყანა საფუძვლითურთ ესეოდენ სასტკად, ვიდრემდის მითანი მალაღნი და კლდენი სასტკანი მჟაენი სახედ დიდებისა დავიდუნეს, ქალქანი და მთაღლენი დიარღლეს, ეკლესიანი დაეკურეს...“: ეს მოხდა აფხაზეთა ქრონიკის მოწმობით 1089 წ. დავით აღმაშენებლის გამეფების დროს (ქრონიკები, გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ 226 გვ.).

გასაკვირი არ არის, რომ თვით გელათის ლეთის-შობობის ტაძრის გუმბათიც ამ დროს ჩამოგარდნილი იყო. მაშასადამე ნამდვილზე ახლოს უნდა იყოს ამ ტაძრის ხელმეორედ აშენება დავით აღმაშენებლის მიერ. თითქოს ამ ჩვენს აზრს „ქართლის ცხოვრებამი“ I ტომი, 243 გვერდი ამტკიცებს: „ადილსა ყოვლად შეწერესა და ყოვლად უნაკლულსა;

*) ისილე „Древности Восточныя“ Т. I, выпуск II.

რომელსა შინა ვითარცა მეორე ცა** გარდაართხა ტაძარი ყოვლიდ წმინდისა (უნდა იყოს ტაძარსა ყოვლიდ წმინდასა), რაბამ ჩამე აღმატებული ყოველია წმინანდლთა ქმნილობისა. აქ ცხადად ჩანს, რომ დავით აღმაშენებელს მეორე ცა, ესე იგი გუმბათი მეორედ ვაღუყვანია ლეთისმშობლის ტაძარზე, ბევრთა უკეთესი, ვიდრე წინათ ყოფილა. ამ დასკვნას თითქოს უფრო ამაყებობს აღმანადებების გუჯარი, განახლებული ბაგრატ მეექვსეს მიერ მეთოთხმეტე საუკუნეში. იმ გუჯარში სწერია, რომ დავით აღმაშენებელი გელათის ტაძრიდან გადმოვიარა და დამიტერაო. საფიქრებელია, რომ დავით აღმაშენებელს მოუსურებდა მუშაობის დაწყების დროს ძველი გუმბათის საფუძელის დათვალიერება, ასულა ტაძარზე, მაგრამ უნებღებლობა შემთხვევითა.

ძველის წერილად ვცნობთ, რომ დავით აღმაშენებელს თავისა და თავის შთამომავლის სამარხათ ნდობებია გელათის ტაძრის გადაქმნა, მაგრამ სამარხი-ეკლესიის მიშენება ევლარ მოუსურია და ამის დათმარება თავის შვილის დიმიტრისთვის მიუდღია. მამასადამე გელათის ლეთისმშობლის ტაძრის სამარხი-ეკლესიები დიმიტრის მიერ უნდა იყოს მიშენებული.

ამ სახით ხუროთ-მოძღვრებითის მეციერების ძალით და ღღემლის აღმოჩენილის წერილობითი საბუთების საშუალებით ირკვევს შემდეგი: 1) გელათის მონასტრის შენება დავით აღმაშენებელზე ერთი საუკუნით კიდევ უფრო ადრე უნდა დაწყებულიყოს, 2) ამ მონასტრის ეტყობა კვალი გიორგი აფხაზთა მეფის მოღვაწეობისა, მისი შვილის შვილის ბაგრატ მესამისა, დავით აღმაშენებელისა, დიმიტრი მევისა და მათთა შთამომავალთა ბაგრატ მესამის იმერეთის მეფის დროამდე, მეთექვსმეტე საუკუნემდის. 3) ეს მონასტერი ყოველია, მეთუ საუკუნოდან დაწყებული, სრულიად საქართველოს მეფეთათვის სახელგანთქმული ლაქია, რომელიც თანდათან მდიდრდებოდა მეფეთა შეწირულობით ჭმწიკვარბართა ნაწარმოებით.

ერთაგებთ ამ გამოკვლევას ერთ ზედწარწევით, რომელიც იპოვება ეტრატზე დაწერილი იოანე ოქროპირის სახარების თარგმანში:

„ჩ. ყ. მ. გ. წელსა ოქტომბრის კ. გ. დღესა ცათამბავს გუენათის მონასტრის მოკვედი ბრძანებითა ეპისკოპოსის ნიკოფორესათა და ოცდაოთხიდან ამ მონასტერში დაეყუდა და აქამომდე წარეიკითხებ ეს წმინდა სიბრძნით აღსაყვად სახარების თარგმანი. ნეტავი მას, ვინცა ამა წმინდა მონასტერში მოსულა მეთათხმეტესა და მეთოთხმეტესა საუკუნესა, განუხილავს დიდა საწიგნე გუენათისა. მას შემდეგ მრავალი წიგნი გამოუხვითა წმინდა მონასტრიდან და საწიგნე დაცარიელბულა. მუჯელი ოქროპირ წერეთელი.

***) თ. ყორღანას ამ ჯგუფის შესახებ ვითამცხს წარუბს „ქართლის ცხოვრების“ ტექსტს: „მეორე ცა კი არ უნდაო, არამედ უნდა იყოს „მეორეცა“, ესე იგი მეორე ეკლესია დაქმნაო; მაგრამ ბერად სჯობაა ბ-სი თ. ყორღანას ასეთ უნებს გამოქკარგოს თავს დახეებულს.“

ამ პირზე დიბ. ბაქრაძე სწერს შემდეგ შენიშვნას: „ოქროპირ წერეთელს, რომელიც ამ ათის წლის წინად (1865 წ.) გადაიყვალა, პირადი ენობილი, როგორც მალაი ჭკუის პატრონს და ძლიან განსწავლულს ქართულ ენაზე. სამწუხაროდ მისი ახრი გელათის მონასტრის საწიგნეს გაცარცეზე სრულიად მართალია.“ (Древности Восточной т. I, Выпускъ II.)

გ. წერეთელი

ტ ა ს ა
(მ თ ხ რ ა ბ ა).
VII.



ასო ლამაზი იყო; ამასთან დიდი მზითვის პატრონი და, ჩასაკვირველია, მისი გიმაზნიიდან გამოსვლა და სოფელში დაბინავება შეუნიშნავი არ დარჩებოდა ახლო-მახლოს მყოფ საცოლდ ყმაწვილობისთვის. ესენიც მაშინვე გაჩნდნ ხომში და ცდილობდენ თავი მოეწონებინათ ტასოსთვის. ვამებს უნდოდა, მალე გათხოვილიყო ტასო, რომ ქმარსა და შვილებს დაეციქვინათ მისთვის წარსული უსიამოვნება და, თუ კი ესმე მაიწონებდა და შეუყვარდებოდა, ჩასაკვირველია წინააღმდეგი არ იქნებოდა, ბევრი კარგი თვალიშვილი და სახელ-განთქმული აზნაურიშვილი შეგვლია ტასოს, მაგრამ ტასო ყველას უარს ეუბნებოდა. ვამებს არ მოსწონდა ტასოს უარი, მაგრამ რას იზამდა? ამ ნაირად მიდიდა დრო, ტასო თანდათან იზრდებოდა, თანდათან იზღებოდა ვარდივით, შეწიერდებოდა, მაგრამ გათხოვებაზე კი მხსაც არ იღებდა. როცა მამა დაიწყებდა ამაზე ლაპარაკს, „რა დროს ჩემი გათხოვება“ო იტყოდა წყნით და ვამებსც მაშინვე მხას ჩაიკმენდა. ამასობაში გავიდა რამოდენიმე წელიწადი; საცოლო ყმაწვილები მოთმინებლად გამოვიდენ ტასოს საქციელით და თავი დაანებეს. ზოგმა სხვაგან მოსძებნა თავისი საფერი, ზოგი ჯერ კიდევ ცხებდა, მაგრამ ტასოს აღარავინ ეკარებოდა. ისინი გულის ჯავრს იმითი იყრიდენ ტასოზე, რომ დასციზნოდენ, უბატოურ ლექსებს თხზავდენ მის შესახებ, საძაღელ სახელმეს არქმედენ, საზიზლარს რამევს უფრებდენ და თავს იცვენდენ.

მხოლოდ ერთადერთი კოსტა მახარია არ მოსწორებია ტასოს. ამისი მიზეზნი ის იყო, რომ კოსტას გულ-წრფელად უყვარდა ტასო, უყვარდა ნამდვილი სიყვარულით; უყვარდა იმისი ღირსება-წაკლდევეანებით და არა მისი სილამაზე და სიდიდრე, როგორც სხვებს. კოსტამ დიდხანს მშადა თავის გულში ტასოსადმი სიყვარული, დიდხანს; მას უნდოდა ჯერ პირ-იქით ტასოსთვის შეეყვარებინა თავი და მისგან დაწყებულიყო საქმე, მაგრამ ტასო მხოლოდ ისე ექცეოდა, როგორც კარეს მეგობარს, როგორც მძანს და ამხანაგს, თუმცა მწედა, რომ კოსტა არ ჰგავდა სხვა ყმაწვილებს, რომ მისი სიყვარული ქეზმარითა და უნაგრო იყო. დიდხანს ჰქონდა გულში ჩამარბული კოსტას თავისი გრძნობა, დიდხანს, მაგრამ ბოლოს მოთმინება გამოიკლია და გაუქმლანა თავის საციერელს თავისი გულის პასუხი. ჩვენ ვი-

ტი, რა პასუხი მიიღო კოსტამ ტასოსაგან; ვიცით, როგორ შესწუხდა ორივე: ერთი მიტოვდა, რომ ერთად ერთი ძაფი, რომელიც მას აკავშირებდა ქვეყანასთან, როგორც თვითონ სთქვა, მაშინ გაწყდა: მეორე კი იმტოვდა, რომ ჰხდებოდა სხვის ტანჯვას; იცოდა, რომ წამალი ხელთ ჰქონდა და მიცემდა კი არ შეგებოდა. მას შეგებოდა გავლენიერებინა ის კაცი, რომელსაც ისე საშინლად უყვარდა და ის კი აუბედურებდა მას. საბარალო ტასა! თითქოს განგებოდა, ეს მეორედ ჩაადგო ბედმა იგი იმისთანა საშინელს მდგომარეობაში; ეს მეორედ შეიქნა იგი თავის უნებურად სხვისი ტანჯვის მიზეზად!..

VIII

დაბა ხობიდან შორს, მთაში, ცხოვრებდა ძიძა კოსტასი, მავა, თავისი სამი ვაჟით. მავა განთქმული იყო მთელს ზუგდიდის მაზრაში, როგორც ექიმი და გამოცდილი ღვინა-კაცი; მისი ვაჟები კი ცნობილი იყო თავისი სიმარჯვით და ნაკაცობით. კოსტას ღვინა და მამა არ ჰყავდა, არც და და ძმა. ღვინა და ძმებდა თავის ძიძასა და ძიძაშვილებს უყუარებდა. მავასა და მის შვილებსაც კოსტაც უყვითესი არასდროს განაჩნდათ და, რომ საჭირო ყოფილიყო, ოთხივე ღვინა-შვილები მზად იყვნენ ცეცხლში დამწვარიყვნენ მისთვის. ყოველთვის, როცა რამე შეაწუხებდა კოსტას, ან ავად გახდებოდა, ან რამე უსიამოვნებდა შეგობებდა, მაშინვე მიაშურებდა ხოლმე თავის გამზღვლებს და, უმჯობესად, თუ ავად იყო, მოაჩინებდა მავას წამალი, თუ შეწყუბუცებული, გაამზიარებდათ ძიძაშვილებთან დროს გატარება.

ახლაც იმით მიჰპაჩოთა კოსტამ.

მავამ და მისმა შვილებმა იციოდნენ კოსტას სიყვარულის ამბავი და შეხებდნენ თუ არა მის ფერმიხილვის, ნაღვლით საცემ სახეს, მაშინვე იგრძნის, რომ საქმე ცუდად იყო.

— შვილო, თუ ასე გიყვარს ის საბაგელო, ისა, ძალით წამოგიყვანათ და ის იქნება, უთხრა მავამ კოსტას, როცა ამან უთხრა თავისი უყვანსკელი გამოთხოვდა ტასოსთან, და ვადახვედ თავის შვილებს, დარწმუნებულმა, რომ ისინი, თუნდ ამაღამვე მოიყვანდნენ ქალს.

— დემითიანო, კარგი იქნება — სთქვეს მავოს შვილებმა.

— არა, არა; ძალით მოყვანილი ცალი მე არ მინდა. მე მიყვარს ტასო და მინდა; იმასაც ვუყვარდე... დაიწყო კოსტამ.

— როცა ჯვარს დაიწერ, იმასაც შეუყვარდები, ვაწყვეტიდა მავამ: — ჩვენ არც კი გვენახა ხოლმე ჩენი ქმარი ჯვარის დაწერამდე, მაგრამ ჩვენ რომ გიყვარდა, ისე ახლანდლები ვერსაღეს ვერ შეიყვარებენ.

— არა, ძიძა, არა... მავას ნერვ მეთუნები, თუ გიყვარდე, სთქვა კოსტამ და ღრმად ამოიხიზა.

— შენი ნებაა, შვილო, თუ სულ დივიწყებ იმ გომბიბოს, კიდევ უყვითესი იქნება... ქალის მეტო რა არის? იმისთანა ქალს გიშოვით, რომ მეორე არ იყოს ოღონდში... კიდევ უნდაა რაღაც ვთქვა მავას, მაგრამ შეატყო, რომ კოსტას საშინლად აწუხებდა იმაზე ლაპარაკი და მიატოვა.

ამას შემდეგ აღარ მოუკონებიათ კოსტასათვის

ტასოს ამბავი და, როგორც ღვინა, ისე შვილები ცდილობდნენ, გაემხიარულებინათ როგორმე საყვარელი გაზრდილი, ცდილობდნენ, მაგრამ ამაოდ. კოსტა თანდათან უფრო შესწუხდა და შესწუხდა, ბოლოს იქამდე მივიდა, რომ აღარც ჰკმად, აღარც სვამდა, აღარც ეძინა, აღარც მზას სცემდა ვისმე. კოსტას რომ ასე ჰხდებოდა, მავა და მისი შვილები ტანჯვას საზღვარი აღარ ჰქონდა. იმათ არ იციოდნენ, რა ეწინა, როგორც შეგებოდა თავის საყვარელ არსებისათვის? იციოდნენ წამალი, მაგრამ ხელი არ მოუწვდებოდათ იქამდის და ეს გარემოება უფრო აწუხებდა მათ.

გავიდა ამ ნაივად რამოდენიმე კვირა კოსტა უარესად და უარესად იყო: მიწიდან ამოღებულს დაემგზავსა, ძვალ-ტყავად ვადაიქცა...

— არა, თუ რამე არ მოგაგვირეთ, არ შეიძლება, უთხრა ერთხელ მავამ თავის შვილებს: — როგორც ეტყობა, კოსტას უმი ქალიად სიცოცხლე არ შეუძლია. სიყვარული ბევრნაირია: ზოგიერთი სიყვარული, მოშორდება თუ არა ერთმანეთს ქალი და კაცი, მაშინვე ჰჭრება. თვითონ შორს, გულიც შორსა, ნათქვამია ამისთანა სიყვარულზე. კოსტას სიყვარული კი ასეთი არ არის: ჩამდნეც დრო მიდის და ვერ ჰხვდება თავის საყვარელს, იმდენი უფრო ძლიერდება... თუ რამე არ მოგახიზებოდა, კოსტა კლექში ჩავარდება და... აზრი ვეღარ დათავა მავამ და ის, რაც ენამ ვერ გამოსთქვა, თვალმბმა სთქვეს იმით, რომ რამოდენიმე ცხელი ცრემლი გადმოაფრქვეს.

— მე წავალ იმ გომბიბოსთან. ეგებ შეგებინალოს და წამოკვეცს კოსტას, სთქვა თვლების წმენდის დასასრულად მავამ.

— შენ კი ნუ წახვალ, ბარემ აქეთ მოგიყვანოთ ქალი, სთქვა უფროსმა ვაჟმა: — შენც აქ იქნები და კოსტაც; თუ ნებით დაიწერა ჯვარი, ხომ კარგი და თუ არა, ჯანდაბან მისი თავი! გულის ჯვარის მინც ამოვიყვანო და მერე, რაც მოგივია, მოგივიციდე! კოსტა ხომ მინც კვდება და ჩვენ რაღად გვინდა ჩვენნი თავი?..

— სწორეთ ასე აჯობებს, სთქვა საშუალომა: — თუ ნამოსთ აქვს, რა კი აქ მოგიყვანოთ, მერე უფრო აღარ უნდა სთქვას ჯვარის დაწერაზე.

— მე ეიცნობ ერთ მოგამაგირეს ვამებისას; ფოთში ვართ ერთად ნაყოფი და ყველათვის აღვიღო მოგახიზებ, სთქვა უმცროსმა.

— ძალიან კარგი, შვილებო, დასთანხმდა მაკაცო. — მართალია, ძნელი საქმეა, მაგრამ რა გავწყობა? ეგებ მიმერთომა მოგვხედოს და საქმე კარგად დატრიალდეს!..

მაშ, მე ამაღამ წავალ ხობს და შევედგები საქმეს! სთქვა უმცროსმა. ყველანი დავითანხმენ და ისიც წაიდა ცენის შესაჯნმად.

— სანამ ქალი აქ ვეყოლება, კოსტას ნუ-რასფერს ეტყვიოთ, დაბოლოვა მავამ საუბარი, რაზედაც ავითოვე ყველა თანახმა გაუხდა. მავა დარწმუნებული იყო, რომ ჰნახავდა თუ არა ტასოს და მოუწყვებოდა კოსტას ამბავს, გამაოცლებინებდა აზრს და დაითანხმებდა კოსტას ცოლობაზე.

(შედეგი იქნება) დედა შეგვალთ

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.